სპორტიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 3 დეკემბერი 2003 №230 (2001) | ფასი 50 თეთრი

REUTERS დორტმუნდიდან

გალათასარაი — იუვენტუსი 2:0. ჰაქან შუქური „ბებერ ქალბატონს“ თავზე წამოაჯდა

გალათასარაი იუვენტუსს შინ ეთამაშა

გერმანია ხომ მეორე თურქეთია

REUTERS დორტმუნდიდან

ესპანური პრიმერადივიზიონის მეთოთხმეტე ტური გუშინ დაიწყო და ხვალ დასრულდება. გუშინდელმა ერთადერთმა მატჩმა კი ტურის ინტრიგა კიდევ უფრო გააღრმავა — „ვალენსიას“ წაფორხილებით ერთბაშად ორ გუნდს მიეცა ლიდერობის ხელში ჩაგდების შანსი.

მაგრამ გავბედავთ და ვიტყვით, რომ ამ ტურის მთავარი ინტრიგა მაინც ერთ კონკრეტულ მატჩშია და არა ზოგად საცხრილო ვითარებაში.

დღეს „სანტიაგო ბერნაბეუზე“ დიდი მადრიდული დერბია, რომელიც სათავეს ლამის უხსოვარი დროიდან იღებს, ხოლო მეტოქეთა დაპირისპირების წელთაღრიცხვის სათავედ პრიმერადივიზიონის დაარსებას თუ ავიღებთ, იმ დღიდან 75 საპრიმერო წელიწადი გასრულებულა.

ვინძლო, ზედმეტიც იყოს იმის მოთხრობა, თუ რას ნიშნავს მადრიდელთათვის „რეალი“ — „ატლეტიკო“. იმ წლებში კი, როცა „ათლეტები“ სეგუნდადივიზიონში ბოგინობდნენ, პრიმერას პენი აკლდა.

დღეს სადღა მოიძებნება კაცი, ვისაც თვალნათლივ ახსოვს ამათი სულ პირველი შებმა, მაგრამ მთელ მსოფლიოში მილიონები ვართ, ვისაც გუშინდელივით გვახსოვს 1998 წლის ზაფხულის ის ცხელი დღე, საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე ინგლისელმა დევიდ ბექემმა და არგენტინელმა დიეგო სიმეონემ წიხლები რომ უთავაზეს ერთმანეთს.

ის ხუთი წლის წინანდელი ამბავი კი დღევანდელი ისედაც ინტრიგიანი თამაშის მთავარი ინტრიგაა — ბექემი და სიმეონე ხომ ორ ბანაკად გაყოფილ მადრიდში ბარიკადის სხვადასხვა მხარეს დგანან.

იხილეთ მეექვსე გვერდი

ბოლო

დღეს მადრიდში ქალაქშორ-კაცშორი დერბია

რეალი ბექემი VS ატლეტიკო სიმეონე



გინდა არ გინდა პოლიტოლოგია

გახოკიძეს ტვენტეში ზუსტ პასებს და ინფორმაციას სთხოვენ

ბურნაგ დოლაბერიძეს ფოტო

...რევოლუციისას დღეში ათჯერ მეკითხებოდნენ, რა ხდება, ომი ხომ არ იწყება, შევარდნაძე წავა თუ არაო. ახლაა და, ქართული ამბების გასაგებად გუნდი ყოველ დღე სიენენს უცქერს, თან კომენტარს მე მთხოვენ. მოკლედ, ბოლო დროს „ტვენტეში“ სალაპარაკო თემა საქართველოა.

ინტერვიუ გიორგი გახოკიძესთან იხილეთ მეორე გვერდზე



ბაბრი ჯეთლაბის ფოტო

ჰოლანდიურ „ტვენტეში“ სეზონის წინ პსვ-დან გადასული გოგა გახოკიძე ბოლო დროს ისე ათამაშდა, გუნდისთვის შეუცვლელი გახდა. პარტნიორთათვის მისი პასები კი ხშირად ისეთი იდეალურია, გოლი არ მოჰყვეს, არ იქნება. „ტვენტემ“ სულ 25 გოლი გაიტანა, აქედან ცხრა შემთხვევაში ასისტენტი გახოკიძე იყო და მეპასეთა შორის ჯერჯერობით პირველ ადგილზეც სწორედ ჩვენიანია.

ერთი სიტყვით, გახოკიძეს „ტვენტეში“ თამაში აეწყო და ეს მის გუნდსაც დაეტყო. ენსხედელები დღესდღეობით მეშვიდე ადგილზე არიან

ბევრი საკლუბო და სანაკრებო ნერვიულობის მერე გოგა გახოკიძეს თამაში აეწყო

გულუბრყვილო ჰოლანდიელებმა საქართველო დაალაგეს

გახოკიძე მადლობას პასებით იხდის

— მართლაც კარგად ავთამაშდით, ცხრილშიც დავწინაურდით და, რაც მთავარია, კიდევ შეგვიძლია მოვუმატოთ — გვითხრა გოგა გახოკიძემ — ვერ ვიტყვი, ჰოლანდიაში გაკვირვებულნი არიანო, მაგრამ ჩვენი ასეთი წარმატებული თამაში ბევრისთვის მოულოდნელი იყო. წინა სეზონი „ტვენტემ“ ჩაგდო, არც ამ ჩემპიონატისთვის გვთვლიდნენ სერიოზულ ძალად, თუმც აგერ, საცაა, პირველი წრე დამთავრდება და ჩვენ ხუთეულში მოსახვედრად ვიბრძვით.

— მოულოდნელად კარგად ათამაშებულ „ტვენტეში“, შენც გამოირჩევი...

— არ იფიქროთ, ტრაბახობსო, მგონი, ნამდვილად ასეა. თავსაც ვატყობ, რომ ძალიან კარგ ფორმაში ვარ. წინა ტურში „ბრედასთან“ მოგებული მატჩის შემდეგ საუკეთესოდაც დამასახელეს. საგოლე პასი მივეცი და ერთი-ორჯერ პარტნიორებს ისეთი მომენტი გავუკეთე, თავად გაუკვირდათ, როგორ ვერ გაიტანეს. თუმც დავშავდი, როცა ვიგებდით, ეტყობა, მეტოქე გამწარდა და ტერფში ჩამცხო. ორი დღეა, ექიმებთან დავდივარ.

— სერიოზული ტრავმაა?

— ძვალი მტკივა, ბურთს ვერ ვეხები. მგონი, მომავალ მატჩს „ვოლენდამთან“ გამოვტოვებ და ჩემი ნება რომ იყოს, ასეც გავაკეთებდი. მერე „აიაქსსა“ და „ფეიენოორდს“ ვეთამაშებით და ძალიან მინდა, ამ გუნდებთან თავი გამოვიჩინო.

— გოგა, თქვი, აღმასვლის პერიოდი მიდგასო. ეს მწვრთნელის დამსახურებაა, ასაკის, გუნდის თუ...

— მთავარია, ვთამაშობ. მწვრთნელიც მენდობა და გუნდიც ხედავს, რომ საჭირო ფეხბურთელი ვარ. აბა, ის იყო საქმე, პსვ-ში ხუთ თამაშში 15 წუთით რომ გამოვჩნდებოდი ხოლმე? ვანდერეიკენმა თამაშის საშუალება მომცა, მეც უფრო თავდაჯერებული გავხდი, ფიზიკურად მოვღონიერდი. საკუთარი თავის რწმენა არასდროს მაკლდა, მაგრამ როცა იშვიათად თამაშობ, ეს ფსიქოლოგიურად მაინც მოქმედებს და კონცენტრაციას გიკარგავს.

— ესე იგი, მთავარი მიზეზი მწვრთნელი ყოფილა.

— შეიძლება ასეც ვთქვათ. ვანდერეიკენთან თბილი, მეგობრული ურთიერთობა მაქვს. მან ფეხბურთი კარგად იცის, მილიონ ტაქტიკურ ვარიანტს ამუშავებს და ყველაფერს გასაგებად ხსნის, რაც მთავარია — მენდობა.

— შენთვის სათამაშო პოზიცია ხომ არ შეუცვლია?

— არა, ძველებურად მარცხენა ფლანგზე ვთამაშობ.

— „ტვენტეს“ სატურნირო მდგომარეობას თუ გავითვალისწინებთ, გუნდს მადა გაეხსნებოდა.

— უეფას თასის საგზურისთვის ბრძოლას ვაპირებთ. ვნახოთ, რა გამოგვივა. მეხუთე ადგილს სადღეისოდ ორი ქულა გვაშორებს, თანაც ჩვენს კონკურენტებს მეორე წრეში უარესი კალენდარი აქვთ. გვსურს ჰოლანდიის თასიც. ახლა „აიაქსის“ მეორე გუნდს ვეთამაშებით და თუ მოვიგეთ, მერე უკვე ამ საქმესაც სერიოზულად მივხედავთ. საქმე ისაა, რომ „ტვენტე“ ფინანსურად ძლიერი გუნდი ვერ არის. ამიტომაც კლუბის ხელმძღვანელობა ყველა ტიტულს როგორც შემოსავლის ახალ წყაროს, ისე უყურებს. როცა ვიგებთ, უნდა ნახოთ, როგორ უხარიათ, თვალები უბრწყინავთ, მომავალ მატჩამდე ზეიმობენ.

— აბა, ახლა ზეიმი ნამეტანი გაუგრძელდებოდათ...

— კი, უკვე რა ხანია, არ წაგვიგია.

— საქართველოში მომხდარი ამბები „ტვენტეში“ თუ იციან?

— რევოლუციისას ხომ დღეში ათჯერ მეკითხებოდნენ, რა ხდება, ომი ხომ არ იწყება, შევარდნაძე წავა თუ არაო. ახლაა და, ქართული ამბების გასაგებად გუნდი ყოველ დღე სიენნს უცქერს, თან კომენტარს მე მთხოვენ. ფიქრობენ, რომ რაკი ჩვენთან მშვიდობიანი რევოლუცია იყო, ცხოვრებაც დღეს-ხვალ დალაგდება. მოკლედ, ბოლო დროს „ტვენტეში“ სალაპარაკო თემა საქართველოა.

— თავად რას ფიქრობ?!

— რა უნდა ვიფიქრო?! ქვეყანა დაწყნარდეს და ცხოვრება მოწესრიგდეს. ძალიან მსურს, საახალწლოდ ახალ საქართველოში ჩამოვიდე.

კობა ინასარიძე

ნემსაძე ნავსადგურში მოატყუეს

პორტსმუთი ჩაიშალა, რეინჯერსი მორჩა

შოტლანდიური „დანდიდან“ თავისუფალი აგენტის სტატუსით წამოსულ საქართველოს ნაკრების კაპიტან გიორგი ნემსაძეს წუხელ პრემიერლიგის „პორტსმუთთან“ უნდა გაეფორმებინა კონტრაქტი, მაგრამ ინგლისელებმა წინასწარ შეთანხმებული პირობები დაარღვიეს და ჩვენიანმაც ყიბიდან ხელმოსაწერად ამოღებული ყალამი უკანვე ჩააბრუნა. გამოირიცხა ნემსაძის შოტლანდიურ „რეინჯერსში“ გადასვლის ვარიანტიც...



ბურაგ დონელაძეს ფოტო

— „პორტსმუთის“ მწვრთნელს ჰარი რედნაპს ვესაუბრე, გუნდთან ერთად ვარჯიშიც შემომთავაზა, დავთანხმდი და მერე უკვე კონკრეტულ საკითხებზე მოლაპარაკება დავიწყეთ — გვითხრა ნემსაძემ, რომელსაც შოტლანდიაში დავუკავშირდით — თითქმის ყველაფერზე შევთანხმდით, ინგლისელთა სიტყვამ დამაკმაყოფილა, ჩემი პირობებიც მისაღები იყო მათთვის, მაგრამ რა მოხდა ბოლო მომენტში, არ ვიცი. ფაქტია, კონტრაქტის გასაფორმებლად მზად ვიყავი, „პორტსმუთმა“ კი დაპირებულის შესრულებაზე უარი თქვა. შეთანხმებულზე ნაკლები ანაზღაურება შემომთავაზეს.

— „პორტსმუთი“ პრემიერლიგაში თამაშობს, თანაც არა უშავს. იქნებ ღირდა, მათ პირობებს დაყაბულებოდი?

— ამაზეც ვთიქრობდი, და „პორტსმუთმა“ იცოდა კიდეც ამის თაობაზე, თუმც იმდენად დაბალი ხელფასი მითხრეს, ვერ დავთანხმდებოდი.

— ახლა „რეინჯერსის“ ვარიანტი დაგრჩა?

— არა, „რეინჯერსზე“ მხოლოდ ერთი ხანობა ითქვა და მორჩა. მოლაპარაკება შორს აღარ წასულა.

— ახლა რას აპირებ?

— ველი ახალ წინადადებებს. არ მინდა, ჩემით დაინტერესებულ გუნდთან მოლაპარაკება გავაჭიანურო, შევხვდები, დავილაპარაკებთ და მზად ვარ, ხვალვე მათთან ვითამაშო. თუ ასე არ გამოვიდა, რა გზაა, სატრანსფეროს სეზონის გახსნამდე ლოდინი მომიწევს. ჯერჯერობით კი რეალური შემოთავაზება არ მაქვს.

კობა ინასარიძე

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

ჩემპიონთა ლიგა

ჯგუფური ეტაპი

V ტურ. წუხელ

გალათასარაი 2:0 იუვენტუსი

1:0, 2:0 ჰაქან შუქური (47, 90)

გალათასარაი: მონდრაგონი, პრატესი (ჰასან შაში 45), ორჰანი, ფ. დე ბური (ბიულენთი 84), ჰაქან უნსალი, საბრი, ტამაში, პეტრე, ერგუნი, ჰაქან შუქური (ჯიჰანი 90), გიოქთანი

მწვრთნელი: ფათიმ თერიმი

იუვენტუსი: კიმენტი, ტუდორი, ფერარა, იულიანო (ანია 76), პესოტო, ზალაიეტა, კონტე (კამორანეზი 86), დავიდსი, მარესკა, დი ვაიო, მიკოლი

მწვრთნელი: მარჩელო ლიპი

გაფრთხილება: ზალაიეტა, კონტე, პეტრე, დი ვაიო, მარესკა, ჰასან შაში, დავიდსი

მსაჯი: კიმ-მილტონ ნილსენი (დანია)

70 000 მაყურებელი

იუვენტუსი	5	3	1	1	8:6	10
სოსიედადი	5	2	2	1	7:7	8
გალათასარაი	5	2	0	3	5:7	6
ოლიმპიაკოსი	5	1	1	3	6:6	4

„იუვენტუსი“ გასულია მერვედფინალში

ბოლო ტური, 10 დეკემბერი

იუვენტუსი — ოლიმპიაკოსი

სოსიედადი — გალათასარაი

ინგლისი

I დივიზიონი

გადადებული მატჩები

როტერჰემი 2:0 ძოვენთრი

სანდერლენდი 1:1 უიგანი

კონფერენს ლიგა

გადადებული მატჩი

ნორსვიჩი 1:2 ბარტონი

ლიგის თასი. 1/8 ფინალი

არსენალი **5:1 ვულვერჰემპტონი**

საუთჰემპტონი **2:0 როტერჰემი**

შვეიცარია

ჩემპიონატი

გადადებული მატჩი

ბულე 3:1 ვინტერთური



მსოფლიოს 20-წლამდელთა ჩემპიონატი

საბოლოოდ

D ჯგუფი. II ტური

ინგლისი 0:1 ეგვიპტე

იაპონია 1:4 კოლუმბია

E ჯგუფი. II ტური

კოტ დივუარი 2:2 ირლანდია

მეძსიკა 1:1 საუდეთი

F ჯგუფი. II ტური

გერმანია 3:1 აშშ

კორეა 0:1 პარაგვაი

გერმანია

სამხრეთ რეგიონალლიგა

XVIII ტური

პფულენდორფი 2:0 ოფენბახი

თასის 1/8 ფინალი

რენენსბურგი **3:3 დ.დ.(პენ.2:4, 3:3)** *დუისბურგი*

ბრაუნშვაიგი 0:5 *ალემანია*

ჰოფენჰაიმი **3:2** *ლევერკუზენი*

მეონხენგლადბახი **4:2** *შტუტგარტი*

შოტლანდია

II დივიზიონი

გადადებული მატჩები

ალოა 2:0 ისტ ფაიფი

არბროთი 1:1 ერდრი

ჰამილტონი 1:2 მორტონი

III დივიზიონი

გადადებული მატჩები

ალბიონი 0:3 სტირლინგი

მონტროუზი 0:0 ძუინზ პარკი

ბრეტნა 1:0 კუუდენბეთი

ლიგის თასი. 1/4 ფინალი

აბერდინი 2:3 დ.დ.(2:2) *ლივინგსტონი*

ესპანეთი

პრიმერადივიზიონი

XIV ტური

სოსიედადი 0:0 ვალენსია

რუბიკონის ფრანკფურტი
5 დეკემბერს წილიც იყრება და ბედიც დაიწერება

გაისად, მაისში საქართველოს ნაკრებმა, შესაძლოა, მოსკოვის LG-ს ტრადიციულ საერთაშორისო ოთხთა ტურნირში ითამაშოს. ჩვენების გარდა მასპინძლებს სერბეთ-ჩერნიგორიისა და ბელარუსის ნაკრებების მიწვევა აქვთ ჩაფიქრებული. ტურნირის ამ გუნდების მონაწილეობით გამართვა მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის წილისყრაზეა დამოკიდებული, რომელიც პარასკევს ფრანკფურტში შედგება, თუმც რუსებს სამივე ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციათა წინასწარი თანხმობა ტურნირში მონაწილეობაზე უკვე მიუღიათ. სფფ-ის გენმდივან ვალერი ჩოლარიას რუსი კოლეგა წინა კვირას მოსკოვში შეხვედრისას ესაუბრა.

ტურნირის ამ შემადგენლობასთან მსოფლიოს ჩემპიონატის წილისყრა დაკავშირებულია იმით, რომ ეს გუნდები ერთ ჯგუფში არ უნდა მოხვდნენ. საერთოდ, ნაკრებებს წესად აქვთ, ოფიციალურ მატჩებამდე ერთმანეთში ამხანაგურებს არ თამაშობენ, რაგინდ ტურნირიც იყოს.

საქართველოს ნაკრებისთვისაც მოსკოვური მატჩების ჩატარება-ჩაშლის ამბავი, ალბათ, სწორედ პარასკევს, წილისყრის შემდეგ გაირკვევა.

იქამდე კი, რაც გადაწყვეტილია, ის ვთქვათ: ეროვნული გუნდი 15-დან 22 თებერვლამდე კვიპროსის საერთაშორისო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. ჩვენების გარდა კუნძულზე სომხეთი, ბელარუსი, უკრიანა, რუმინეთი, ლატვია და უნგრეთი არიან მიწვეული. იმავე წილისყრის შედეგებიდან გამომდინარე, ტურნირში მონაწილეობა შესაძლოა რომელიმე გუნდმა იუაროს, თუმც ქართველები უეჭველად ითამაშებენ.

და აქვე ერთიც: უეფას ამხანაგური მატჩების ჩატარების თარიღებად 10 და 31 მარტი, 28 აპრილი და 12 მაისი აქვს გამოცხადებული.

რომელ დღეს აირჩევს ჩვენი გუნდის ახალი მწვრთნელი, ეს ჯერ უცნობია, თუმც ისიცაა, რომ საქართველომ ამ დღეებში შესაძლოა მეორე შემადგენლობით ითამაშოს. ისევ პარასკევის წილისყრას მივადექით: ქართველები თუ შვიდგუნდიან ჯგუფში მოხვდნენ, ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელებს ამხანაგურებში მონაწილეობა შეეზღუდებათ: ფიფას ლიმიტი ხომ იცით — კლუბს ფეხბურთელის ნაკრებში გაშვება წელიწადში მხოლოდ შვიდჯერ შეუძლია, მეტჯერ გამოძახება უკვე ქვეყნის ფედერაციისა და კლუბის ურთიერთობაზეა დამოკიდებული.



მერაბ ჟორდანია: საქართველოს ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ახალ მწვრთნელს ეძებს

კოტა ბალიაძის ფოტო

კოტა ინასარიძე

გამაგრდი, სან სანიჩ!
შტელინის უმუშევრობა, ტრაგედია და ახალი შანსი

დიდი შანსია, ჩვენთვის კარგად ნაცნობი უკრაინელ-ბელგიელი მწვრთნელი ალექსანდრ შტელინი რუსულ პირველ დივიზიონში დასაქმდეს. ქუთაისის „ტორპედოს" ყოფილი თავკაცი ასტრახანის „ვოლგარ-გაზპრომის" მწვრთნელობის კანდიდატთა შორის მოიხსენიება. შეგახსენებთ, რომ შტელინმა „ტორპედო" წინა ჩემპიონატის საგაზაფხულო ეტაპზე დატოვა. რიონისპირული კლუბის ხელმძღვანელობამ ის ცუდი შედეგების გამო დაითხოვა სამსახურიდან. მას შემდეგ „სან სანიჩი" უმუშევარი იყო. ამას ოჯახური ტრაგედიაც დაემატა — შტელინს შვილი გარდაეცვალა...

ახლა კი მან მძიმე დრო უკან მოიტოვა და ფეხბურთში დაბრუნება გადაწყვიტა. „ვოლგარ-გაზპრომის" მწვრთნელობაზე შტელინის გარდა კიდევ ორი პიროვნება აცხადებს პრეტენზიას — ტულის „არსენალისა" და „დონის" ყოფილი თავკაცი დმიტრი ლიპოვი და მახაჩყალის „ანჟის" მწვრთნელი გენადი დროზდოვი.

ალექსეი ივანოვის ფოტო

კლუბის ხელმძღვანელობა ამ საკითხს 10 დეკემბერს განიხილავს. რუსი ჟურნალისტების თქმით, ყველაზე დიდი შანსი სწორედ ყოფილ ტორპედოელ ალექსანდრ შტელინს აქვს.

ძახა შალამბერიძე

ჩემი ტრიუკი ფრაიბურგშიც მაქვს
გაგვაცანით ნაკრებელები ერთმანეთს



უცხოეთის წამყვან საფეხბურთო ლიგებში მოთამაშე ფეხბურთელებით ერთობ ღარიბნი ვართ. ლევან ცქიტიშვილი ბოლო რამდენიმე სეზონია, „ფრაიბურგის" ძირითადში მუდმივად თამაშობს. ცქიტიშვილს არც სანაკრებო კარიერა დაეწუნება – ის ჩვენი ეროვნული გუნდის, ასე ვთქვათ, მეორე თაობის წარმომადგენელია. ლევანს ზოგად საკითხებზე ვესაუბრეთ...

— **თითქმის ხუთი წელია, ფრაიბურგელი ხარ — იქნებ დროა, სხვა გუნდშიც მოსინჯო ძალა?**

— უკეთეს გუნდში გადასვლა მართლაც კარგი იქნებოდა — ვცდილობ, „ფრაიბურგში" კარგი თამაშით ამას მივაღწიო.

— **შენი ფრაიბურგული კარიერით კმაყოფილი ხარ?**

— მთლიანობაში კი და, რაც დარჩენილი მაქვს სათამაშო, იმითაც კმაყოფილი უნდა დავრჩე — კონტრაქტი „ფრაიბურგთან" 2004-05 სეზონის დასრულების შემდეგ მეწურება.

— **შენი საუკეთესო მატჩი „ფრაიბურგში"...**

— იყო კარგად ჩატარებული თამაშები და პირიქითაც. ერთ შეხვედრას ნაღდად ვერ გამოვარჩევ.

— **ვერც სანაკრებო კარიერაში?**

— ასეთი ალბათ თბილისში უნგრეთთან მატჩი იყო შარშანწინ.

— **მაშინ ორი მცველი ლამაზად გააბითურე და შოთა არველაძეს, ფაქტობრივად, ცარიელ კარში გატანინე — მსგავსი ტრიუკი „ფრაიბურგში" არ გაგიკეთებია?**

— როგორ არა, ასეთი რამ ჩემს პირველ ფრაიბურგულ სეზონში მოვახერხე „კაიზერსლაუტერნთან", თუმც მაშინ ფეხებშუა არ გამიძვრენია ბურთი მეტოქისთვის, „პადსებია" გავაკეთე და გოლი მარკო ვაისჰაუტს გავატანინე.

— **„ფრაიბურგში" ახლა უმეტესწილად რა პოზიციაზე თამაშობ?**

— სამი საყრდენით ვთამაშობთ და მე მათ შორის ვარ. ოღონდ ეგაა, უფრო მარცხნივ ვარ გაწეული.

— **27 წლის ხარ და როგორ ფიქრობ, შენი კარიერის პიკს უწიე?**

— ყოველ შემთხვევაში, ვცდილობ, ეს ასე იყოს — ამ ასაკში ფეხბურთელი ყველანაირად უნდა იყოს ჩამოყალიბებული.

— **ნაკრებს ახალი უცხოელი მწვრთნელი ეყოლება, თუმც ზოგი თვლის, რომ ჩვენი ეროვნული გუნდი ჯერაც ჩამოსაყალიბებელია და მისგან დიდ წარმატებებს არ უნდა ველოდოთ — შენ როგორ მიგაჩნია?**

— ვიზიარებ ასეთ შეხედულებას — ვინც უნდა მოვიდეს ნაკრების მწვრთნელად, მას დრო სჭირდება. ორისამი წაგებული მატჩის გამო მწვრთნელის მოხსნა არ შეიძლება. სწორედ იმის გამო, რომ ნაკრები ჩამოსაყალიბებელია, რაც შეიძლება მეტი ამხანაგური მატჩი და ტურნირები უნდა ვითამაშოთ, თორემ რა გამოდის — ნაკრების ბევრი ფეხბურთელი ერთმანეთს წესიერად არ ვიცნობთ.

— **ერთი ასეთი აზრიც — თუ საქართველოს ნაკრებს ერთი-ორი წამყვანი ფეხბურთელი მოაკლდება, გუნდი ძალიან მძიმე სიტუაციაში აღმოჩნდება...**

— ჩვენნაირი ნაკრებისთვის წამყვანი ფეხბურთელების შეცვლა ძალიან ძნელი იქნება, მაგრამ ვფიქრობ, ყველა ფეხბურთელს მოეძებნება შემცვლელი. თუმც ამ მხრივ ყველაზე უფრო დაცვაში გვიჭირს.

— **ნაკრების ახალი თაობიდან ვის გამოარჩევდი?**

— დავით კვირკველიას და ლადო ბურდულს — მათ გარდა ნაკრებში, ფაქტობრივად, ძველები ვთამაშობთ.

— **„დინამოდან" „ფრაიბურგში" რომ წახვედი, 22 წლის იყავი — საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელი ამ ასაკში უნდა წავიდეს უცხოეთში?**

— უფრო ადრე წასვლაც უკეთესი იქნებოდა — თუ ნიჭიერი ხარ, ფეხის მოკიდების მხრივ პრობლემა არ გექნება — უცხოეთში ხომ სულ სხვანაირია საქმისადმი მიდგომა.

— **გერმანულ საფეხბურთო სამყაროში ყველაზე საინტერესო თემა ამ დროისთვის რა არის?**

— უმეტესად „შტუტგარტზე" ლაპარაკობენ — ეს გუნდი მართლა ძალიან მაგარ ფეხბურთს თამაშობს. ბევრს საუბრობენ „ბაიერნზეც" — ამბობენ, ბაიერნელებს კრიზისი კი აქვთ, მაგრამ სეზონის ამ მონაკვეთში „ბაიერნს" ტრადიციულად უჭირს თამაშიო. რაც შეეხება სებასტიან დაისლერს, ყველას სჯერა, რომ ის გამოჯანმრთელდება და ფეხბურთს ითამაშებს.

დავით თავართქილაძე

კიდევ ვინ წამოვა საგმრძნეთში?



ელგუჯა გუგუშვილი

ბერძნული „იანინას" ქართველმა პატრონმა ჯონი გიგანმა კლუბში უკვე ორი ჩვენებური დაასაქმა — ქართველი ქომაგისთვის ცნობილი ელგუჯა გუგუშვილი მთავარი მწვრთნელი იქნება, მისი თანაშემწე კი თბილისური „მრეტებისა" და ბერძნული „პანაჰაიკის" ყოფილი ფეხბურთელი გოდერძი ნატროშვილია. ამ ამბავს ოფიციალურად ბეჭედი დღეს დაესმება. დღესვე გაირკვევა იმ ქართველ ფეხბურთელთა ვინაობა, ვის გადაბირებასაც ეცდება „იანინა". კლუბის ხელმძღვანელობასთან გუგუშვილ-ნატროშვილის დუეტის შეხვედრისას მწვრთნელები თავად დაასახელებენ სასურველ მოთამაშეებს.

ამის გამო დროებით შეფერხდა ქუთაისის „ტორპედოს" ნახევარმცველ გიორგი ყიფიანის ტრანსფერიც. მხარეებს მოლაპარაკება არ შეუწყვეტიათ, თუმც ყიფიანის გაიანინელება ოფიციალურად ჯერაც არ გადაწყვეტილა.

ასე რომ, „იანინა" სიახლეებისთვის ემზადება: მწვრთნელები — არის, ფეხბურთელები იქნება...

ძახა შალამბერიძე

21 ტური

საქართველოს უმაღლესი პირველი ლიგა 15 ჩემპიონატი ეროვნული ეტაპი

5 ოქტომბერს, ჩემპიონატის მეთერთმეტე ტურში, მხოლოდ ერთი მატჩი გაიმართა თბილისში. ასეთი რამ მეორედ დღეს მოხდება, ტურის ხუთი მატჩი დედაქალაქს „ასცდა“ და იმტრიგა მეტ-ნაკლებად არც ერთ შეხვედრას არ აკლია

შენ კიდევ პახმელიაზე ხარ?
თბილისს ტრიუმფი აღარ უნდა
გორში ისევ საქმეს არჩევენ

მცხეთა. 3 დეკემბერი. 14 საათი. ბრმაზი

მცხეთა — ტორპედო

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); მ. ურუშაძე (თბილისი), ა. სამხარაძე (სოხუმი); მ. მალაღურაძე (თბილისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** შ. სინნაგაშვილი; **დირექტორი:** ნ. კაკულია

„ტორპედოს“ ისე უნდა „მცხეთასთან“ გამარჯვება, როგორც საქართველოს სჭირდებოდა ხავერდოვანი რევოლუცია. ბრაზილიურად დამოძღვრილი რიონისპირელებისთვის ზეექვსეულის გზა ძველ სატახტო ქალაქზე გადის.

ბათუმი. 3 დეკემბერი. 14 საათი. დინამო

ბათუმი — სპარტაკი

მსაჯები: ი. კახიანი (თბილისი); კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი; გ. კიკაჩეიშვილი (სამივე ქუთაისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილრენკო; **დირექტორი:** მ. თევზაძე

უეჭველი მოგება სურს ბოლოს, გამოტოვებულ მატჩში „ვიტ ჯორჯიასთან“ დამარცხებულ „ბათუმსაც“. ზღვისპირელებს კერკეტი „სპარტაკი“ ჰყავთ მეტოქედ, თუმც, თქმა არ უნდა, ძალუმად გაიწევენ საექვსეულო შანსის შესანარჩუნებლად.

ოზურგეთი. 3 დეკემბერი. 14 საათი. ცენტრალური

მერცხალი — ლოკომოტივი

მსაჯები: ა. შილაკაძე (თბილისი); გ. ცირდავა (გულრიფში), ზ. ჯვარიძე (თბილისი); კ. მესხი (ზუგდიდი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ი. მჭედლიშვილი; **დირექტორი:** გ. სორდია

გადამწყვეტი ომი აქვს „ლოკომოტივსაც“. ცაკარიასის გუნდი წაგებებით თავგაბეზრებულ „მერცხალს“ სტუმრობს. რკინიგზელთათვის სამ ქულას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რაკიღა ბოლო ტურში „თბილისი“ ჰყავთ მეტოქედ.

ბოლნისი. 3 დეკემბერი. 14 საათი. თამაზ სტეფანია

სიონი — კოლხეთი

მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); ი. ადეიური (დუშეთი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); მ. მაისურაძე (თბილისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ს. კუტივაძე; **დირექტორი:** შ. ბაქრაძე

საექვსეულო თვალსაზრისით ბოლნისური მატჩი ვერაფერს შეცვლის. „სიონი“ და „კოლხეთი“ გაზაფხულიდან სხვადასხვა პოლუსებზე იბრძოლებენ, თუმც დღეს არც ერთი გუნდი ძალებს არ დაზოგავს. ბოლო ორ მატჩში დამარცხებული ქვემოქართლელები ქულათა მარაგის გაზრდას შეეცდებიან. გაზაფხულიდან მშვიდი ცხოვრებისთვის ქულები სჭირდება „კოლხეთსაც“. ბოლოს ისიც ვთქვათ, რომ წინა ტურში გია ტყეებუჩავას ბიჭები „თბილისთან“ სათამაშოდ გასვლას არ აპირებდნენ. „კოლხეთში“ ფინანსური პრობლემები კვლავაც მოუგვარებელია, თუმც ორი დღის წინ კლუბის პრეზიდენტი ჯემალ ინაიშვილი გუნდს ვითარების გარკვევა-გამოსწორებას დაჰპირდა და მისი სიტყვით დაიმედებული ზღვისპირელები ბოლნისში თავისას შეეცდებიან. დასაკარგი არც არაფერი აქვთ.

დინამო	20	14	4	2	44:8	46
ვიტ ჯორჯია	20	11	5	4	35:14	38
სიონი	20	10	7	3	28:16	37
დილა	20	10	3	7	28:19	33
თბილისი	20	9	4	7	39:25	31
ლოკომოტივი	20	9	4	7	30:22	31
ბათუმი	20	9	2	9	24:22	29
ტორპედო	20	8	4	8	21:23	28
კოლხეთი	20	6	3	11	15:30	21
მცხეთა	20	6	2	12	22:47	20
სპარტაკი	20	3	4	13	11:45	13
მერცხალი	20	2	4	14	17:41	10

ბომბარდირები

14 - გოცირიძე	*ვიტ ჯორჯია*
13 - გონჩაროვი	*სიონი*
12 - დავითაშვილი	*თბილისი*
10 - კაკალაძე	*ბათუმი*
ახალაია	*დინამო*
9 - ა. კაიდარაშვილი	*დილა*
მიქუჩაძე	*თბილისი*
7 - ვ. გოჩაშვილი	*ვიტ ჯორჯია*
გაბედავა	*მერცხალი*
სირაძე	*ლოკომოტივი*

ეს ერთ-ერთი ბოლო ტურია, ჩემპიონატის ბოლო ტურამდე ერთ-ორ ადგილზე ბრძოლა ალბათ ბევრ საინტერესო მატჩს ბოლოს ეს ორ ტურს რომ მოიცავს, ბევრისთვის განვლილზე უფრო რთული იქნება. ჩემპიონატს სადეკემბროდ მძაფრი სატურნირო ინტრიგა შერჩა – გუნდები ექვსეულებად არიან დასაყოფი, ამ მხრივ ეი ჯერჯერობით ბევრი რამ გადასაწყვეტია და, როგორც ჩანს, ბოლო ტურამდე არც გადაწყდება. იქამდე ეი ბოლოსწინა, 21-ე ტურია, სხვათაგან გამორჩეული ორი თამაშით. სადისციპლინო კომიტეტისგან ლახვარჩაცემული „დილა“ „დინამოს“ შეეჭიდება და თუ დამარცხდა, ეგებ ზეექვსეულის ყარი ვერც შეაღოს, რაკიღა ბოლო ტურში მთავარკონკურენტ „ტორპედოს“ სტუმრობს. დიდი ომი აქვს პროგრესულ „თბილისსაც.“ გიორგი დეკდარიანის ბიჭებს „ვიტ ჯორჯიასთან“ გამარჯვება სჭირდებათ ზეექვსეულში მოსახვედრად

გიორგი დეკდარიანის *„თბილისმა“ ისე გაიბრწყინა ფოთში, დიდი საფიქრალი გაუჩინა კონკურენტებს. დედაქალაქელებმა კოლხებს ექვსი გოლი გაუტანეს და რომ გამართლებოდათ, ერთ ამდენსაც გაახერხებდნენ. ერთის თქმა ამთავითვე შეიძლება, თუ გუნდმა დღესაც ისე ითამაშა, როგორც „ფაზისზე“, „ვიტ ჯორჯიას“ დამარცხება არ გაუჭირდება. თბილისელთა ახალგაზრდა მწვრთნელმა გადამწყვეტი მატჩის წინ პრესკონფერენცია გამართა. გიორგი დეკდარიანმა, წესისამებრ, საქებარი სიტყვები არ დაიშურა მეტოქისადმი და თქვა, „ვიტ ჯორჯია“ ჩვენში ყველაზე მზარდი და სტაბილური გუნდიაო. მერე კი „თბილისზეც“ ისაუბრა.*

— ვიცი, რომ ფოთში მოპოვებული შთამბეჭდავი გამარჯვებით ეიფორიაში არ უნდა ჩავარდეთ. ვცდილობ, ბიჭებს „ვიტ ჯორჯიასთან“ მატჩის წინ ფაზისური ტრიუმფი დავავიწყო, რადგან იმ 6:0-ს არანაირი შედეგი არ მოჰყვება, დღეს თუ წავიფორხილეთ. ძლიერი, ანგარიშგასაწევი მეტოქე გვყავს და თუკი სამუშაო პირნათლად არ შევასრულეთ, გაგვიჭირდება.

— მიკროტრავმები აწუხებთ ხოჯავას და ელიავას, თუმც იმედი მაქვს, თამაშს შეძლებენ. ჩვენი დიდი დანაკლისი კვარაცხელიას და გოგუას არყოფნაა. ორივე ფეხბურთელი დისკვალიფიკაციის გამო გამოგვაკლდა და ძალიან სამწუხაროა, რომ ეს გადამწყვეტ მატჩს დაემთხვა.

— წინა შეხვედრაში ჩემს მიერ არჩეულმა ტაქტიკურმა მონახაზმა წარმატება მოგვიტანა. ამ მხრივ ბევრი რამის შეცვლას არ ვაპირებ, თუმც სიურპრიზებს მაინც მოვუმზადებ მეტოქეს და ამას მატჩის მსვლელობისას შეიტყობთ.



ვიტელებმა ზეექვსეული გაინაღდეს და დღეს იმ „თბილისს“ ესტუმრებიან, საუკეთესო ექვსეულში ყოფნა რომ სურს. მოკლედ, კეტერინარებისთვის ეს FAIR PLAY-ის პრინციპების დაცვის საკითხია და არა მხოლოდ...

ზურაბ ბერიძე, *„ვიტ ჯორჯიას“ მწვრთნელი:* ჩვენს გუნდში ბრწყინვალე განწყობაა, დისკვალიფიცირებული და ტრავმიანი არავინ გვყავს. დარწმუნებული ვარ, კარგი თამაში იქნება — ჩვენ ხომ კარგ მინდორზე ვითამაშებთ.

— მეტოქეზე რა აზრის ხართ?

— „თბილისს“ მხოლოდ მოგება აწყობს და ამისთვის ყველაფერს გააკეთებს. ჩვენი მეტოქე მოძრავი გუნდია, განსაკუთრებით გამოვარჩევდი თავდასხმას, კონკრეტულ ფეხბურთელებს კი არ გამოვყოფ — ამაზე ნამატჩევს ვისაუბროთ.

— თქვენ უკვე გაინაღდეთ ექვსეული, „თბილისისთვის“ კი ეს ერთ-ერთი გადამწყვეტი მატჩია...

— ჩვენთვის ყველა ქულას კვლავაც ოქროს ფასი აქვს, რადგან ზეექვსეულში ახლა დაგროვებული ქულები ძალიან დაგვჭირდება. „ვიტ ჯორჯია“ ფეხბურთს თამაშობს და არანაირ გარიგებაზე არ წავა. რაიმე შემოთავაზება არც წინა მატჩზე გვქონდა „ბათუმისგან“, არადა, მაშინაც იყო ამაზე მითქმა-მოთქმა.

ლაშა ნოზაძე, *გუნდის კაპიტანი:* მობილიზება გვმართებს, რათა მოედანის ცენტრი, ასე ვთქვათ, ჩვენ ავიღოთ — ეს ერთობ მნიშვნელოვანი იქნება.



ზურაბ ხორგუაშვილი, *„დილას“ მწვრთნელი:* თბილისის „დინამოსთან“ სათამაშოდ განსაკუთრებულად ვემზადებით. გუნდში საბრძოლო განწყობაა და ვეცდებით, ჩვენთვის სასურველი შედეგი მივიღოთ.

— განსაკუთრებულად ვემზადებითო, თქვით. რაში გამოიხატება ეს?

— უმთავრესად განწყობაში. ბიჭები ძალიან მონდომებულები არიან. უკან დასახევი გზა მოჭრილი გვაქვს და რაც შეგვიძლია, მოედანზე უნდა დავდოთ.

— ტრავმირებული ხომ არ გყავთ ვინმე?

— მხოლოდ ჯობაძე დაგვაკლდება. დისკვალიფიცირებულები კი თავადაც კარგად იცით...

— თითქოს ალექსანდრე კაიდარაშვილის სასჯელის გასაჩივრებას აპირებდით...

— ვაპირებდით...

— მერე გადაიფიქრეთ?

— გადაგვაფიქრებინეს. არ შეიძლებაო, გვითხრეს და ამით ყველაფერი დამთავრდა. როგორც ჩანს, ქართული ფეხბურთის მამებს გორის „დილას“ არსებობა ხელს არ აძლევთ. ყველაფერი ამისკენ მიდის. ამხელა რეგიონში ძლივს მოვახერხეთ ბრძოლისუნარიანი გუნდის გაკეთება და დაგვშალეს. ალბათ, ისიც ძალიან უნდათ, რომ ექვსეულში ვერ მოვხვდეთ, მაგრამ ვერ მოესწრებიან. ყველაფერს გავაკეთებთ, დარჩენილ მატჩებში საჭირო ქულები რომ დავაგროვოთ.

— „დინამოსთან“ მატჩს დავუბრუნდეთ. შანსებს როგორ აფასებთ?

— თანაბრად. მეტოქეზე ნაკლები არაფრით ვართ.

გორი. 3 დეკემბერი. 14 საათი. თენგიზ ბურჯანაძე

დილა — დინამო

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი (თბილისი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ა. მუმკოვი (თბილისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ე. სილაგავა; **დირექტორი:** ჯ. კოპალეიშვილი

ივო შუშაკი: *„დინამოს“ მწვრთნელი:* გორში ძნელი, დაძაბული მატჩი რომ იქნება, ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია, ამ შეხვედრის შედეგი ხომ სხვა გუნდებისთვისაც მნიშვნელოვანია. ჩვენ ერთი დანაკლისი გვექნება, ვერ ითამაშებს კარლოსი, რომელიც ტრავმირებულია. იგი ვერც პირველი ეტაპის ბოლო ტურში დაგვეხმარება. ყველა სხვა ფეხბურთელი კი ჯანზეა და სათამაშოდ ემზადება. სტატისტიკურად, „დილა“ შინ წარმატებით თამაშობს ხოლმე, თუმც ჩვენც მოგებათა სერიის გახანგრძლივება გვსურს. ვიმედოვნებ, „დინამოს“ აღმასვლა არც გორში შეწყდება.

სამხრეთამერიკელები ქართულ ინტრიგებში

ფოტო კამპუში და ლუის ცაკარიასი:

დღეს თუ ხელი მოეცარათ, ადიოს, ექვსეული

აბა, თებერვალში გვნახეთ, ვინა ვართ!

მდიდარი ყოველთვის მდიდარი იყო

კვირას პრემიერლიგაში ლონდონის „ჩელსიმ“ „მანჩესტერ იუნაიტედს“ 1:0 მოუგო და ცხრილში პირველ ადგილზეა, მაგრამ მანჩესტერელთა მწვრთნელს, ალექს ფერგიუსონს სწამს, რომ მისი ფეხბურთელები ტიტულის შესანარჩუნებლად ძალებს გამონახავენ

ალექს ფერგიუსონს საყუთარი გუნდის სჯერა

ხსენებულ შეხვედრაში ერთადერთი გოლი ინგლისის ნაკრების ნახევარმცველმა ფრენკ ლამპარდმა გაიტანა. მანჩესტერელთა ძლევით ლონდონელებმა 35-ე ქულა მოიპოვეს და ახალი მეპატრონის, რუსი ოლიგარქის რომან აბრამოვიჩის დანახარჯს, 190,9 მილიონ დოლარს წელგამართულნი ამართლებენ. „იუნაიტედი“ 31 ქულით მესამე ადგილზეა.

„აშკარაა, რომ ჩვენ დიადი გამოწვევა მივიღეთ — განაცხადა ფერგიუსონმა „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და მისი სპონსორის, „ვოდაფონის“ ახალი, 62 მილიონ დოლარიანი კონტრაქტის გაფორმებისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციაზე — ვფიქრობ, რაც ხდება ძალიან კარგია, რადგან ხალხს „მანჩესტერისა“ და „არსენალის“ გაუთავებელი ქიშპობის ცქერა მობეზრდა. თანაც, ტიტულის კონკურენტად ახალი გუნდის გამოჩენა ჩვენთვისაც ძალიან კარგია. რაც შეეხება პერსპექტივას, თებერვალში, მარტსა და აპრილში „მანჩესტერ იუნაიტედი“ ტრადიციულად კარგად თამაშობს და ჩვენთან დაპირისპირება ნებისმიერი მოწინააღმდეგისთვის დიდი გამოცდის ტოლფასი იქნება. ჩემს ფეხბურთელებს მტკიცე ხასიათი აქვთ და ამას პერიოდულად ძალიან მკაფიოდ გამოავლენენ ხოლმე“.

შემდეგ ფერგიუსონს ჰკითხეს, თუ როგორ ზეგავლენას მოახდენს ფეხბურთზე აბრამოვიჩის მიერ „ჩელსის“ შეძენა, ხომ არ გაზრდის ეს უფსკრულს მდიდარ და ღარიბ გუნდებს შორის. ამაზე „იუნაიტედის“ თავკაცმა უპასუხა:

„ის, რაც „ჩელსიმ“ გააკეთა, თავად ამ კლუბისთვის კარგია, მე კი არა მგონია, ვინმეს უფლება ჰქონდეს სხვას პროგრესში ხელი შეუშალოს. რაც მე თავი მახსოვს, მდიდრებსა და ღარიბებს შორის ყოველთვის იყო განსხვავება. დიდი კლუბები მარად დიდი კლუბები იყვნენ. დღეს ინგლისში ასეთი სამია, მაგრამ განა „ლივერპულის“ და „ნიუკასლის“ უგულებელყოფა შეიძლება?“

ამის შემდეგ, თავად ფერგიუსონმაც და „მანჩესტერ იუნაიტედის“ აღმასრულებელმა შეფმა თავად გილმაც დაადასტურეს, რომ მათ შორის გრძელდება მოლაპარაკება მომდევნო კონტრაქტის შესახებ.

„ჩვენ ერთმანეთს არაფერს ვაიძულებთ და ვადებს არ ვუთქვამთ. ჩვენ ვმუშაობთ და რაკი ორივე მხარეს სურს, რომ ახალი კონტრაქტი შედგეს, ის შედგება. მოლაპარაკებები ძალიან საინტერესოდ ვითარდება და ჩვენც ამ სტადიაზე გახლავართ“ — ბრძანა გილმა.

პაპუნა კედია



რიოს რიბოკზე გაასამართლებენ

გაქცეულ ფეხბურთელებს სებასტიან ჯოე გაეჯიდება

18-19 დეკემბერს, ბოლტონის სტადიონ „რიბოკზე“ გაიმართება „მანჩესტერ იუნაიტედის“ მცველის, რიო ფერდინანდის საქმის მოსმენა. შეგახსენებთ თავად საქმეს: 23 სექტემბერს რიო ფერდინანდი „მანჩესტერ იუნაიტედის“ საწვრთნელ ცენტრში, ვარჯიშის შემდეგ დოპინგ-ტესტზე უნდა მისულიყო. მას კი, როგორც თავად ამბობს, დაავიწყდა. გაჩნდა ეჭვი, რომ ფერდინანდს ტესტი კი არ დაავიწყდა, განგებ არ მივიდა ლაბორატორიაში, რათა დოპინგის კვალი დაეშალა. თუ გახსოვთ, ეს ამბავი სწორედ მაშინ აგორდა, როდესაც ინგლისის ნაკრები სტამბოლში თურქეთთან სათამაშოდ ემზადებოდა. ფერდინანდი ნაკრებში გახლდათ გამოძახებული, მაგრამ ფეხბურთის ასოციაციის წევრებმა იგი შეკრებიდან გამოიხმეს. მას მერე ფერდინანდს ეროვნულ გუნდში არ უთამაშია, აი, „მანჩესტერ იუნაიტედში“ კი პრემიერლიგაშიც გამოდის და ჩემპიონთა ლიგაშიც და უცნაურიც სწორედ ეს არის.

უცნაური უპირველესად თავად პრობლემაა. საქმე ის გახლავთ, რომ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციას კანონში არ ჰქონდა ტესტირების გაცდენის შემთხვევა გათვალისწინებული. მან იცის, რა ჰქნას, თუ ფეხბურთელი დოპინგს იღებს, მაგრამ არ იცის, რა ჰქნას, თუ ფეხბურთელი ლაბორატორიის კარიდან იპარება. შესაბამისად, ასოციაციამ ფერდინანდს, საქმის გარჩევამდე და დასკვნამდე თუ სასჯელამდე (რომელიც შეიძლება ორწლიანიც კი გამოდგეს, მაგრამ სავარაუდოდ სამთვიანზე მეტი არ იქნება) „მანჩესტერის“ თამაშებში მონაწილეობა ვერ აუკრძალა, მაგრამ გაირკვა, რომ მედალს მეორე მხარე აქვს და ამ მხარეზე საზოგადოების ყურადღება ფიფას პრეზიდენტმა, ზეპ ბლატერმა გაამახვილა.

„საქმის გარკვევამდე არ უნდა ეთამაშა — თქვა ბლატერმა — ახლა თუ აღმოჩნდება, რომ დამნაშავეა, მაშინ რა უნდა ვუყოთ იმ მატჩების შედეგებს, რომლებშიც იგი მონაწილეობდა? იძულებული ვარ, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციას მკაცრი წერილი მივწერო, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ჩემი ნდობის საკითხი დგება. თან, საქმე დოპინგს ეხება“.

18 დეკემბერს, რიო ფერდინანდის ვექილად ცნობილი და გამოცდილი ჯეიმს ჩეპმენი დგება, ხოლო ფეხბურთის ასოციაციას ახალი, დოპინგთან დაკავშირებულ კანონების მოფიქრებაში თვით ოლიმპიური ჩემპიონი, ლორდი სებასტიან კოე დაეხმარება.

პაპუნა კედია

კინის მართალი სიტყვა

ვუყიდოთ რუუდს მეწყვილე!

პრემიერლიგის ბოლო ტურში „ჩელსისთან“ დამარცხების მერე „მანჩესტერ იუნაიტედის“ კაპიტანმა როი კინმა თქვა, იანვარში ერთ კარგ ფორვარდს თუ არ ვიყიდით, არაფერი გამოგვივაო



როი კინმა, „მანჩესტერს“ კარგი თავდამსხმელი აკლიაო

კინს რასაც უნდა, იმას იტყვის, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ „მანჩესტერს“ შეტევაში რუუდ ვან ნისტელროი ჰყავს, კინის მოსაზრება ცოტა არ იყოს, უცნაურად ჟღერს, მაგრამ...

„ჩელსის“ გოლი ვერ გავუტანეთ, ესე იგი, რაღაც პრობლემა გვაქვს — დასძინა კინმა — დარწმუნებული ვარ, ალექს ფერგიუსონი უკვე ფიქრობს თუ ვისი მოყვანა იქნება ყველაზე მიზანშეწონილი. სხვაგვარად ვერც პრემიერლიგას მოვიგებთ, ვერც ინგლისის თასს და ვერც ჩემპიონთა ლიგას.“

„მანჩესტერმა“ „სტემფორდ ბრიჯზე“ გოლი რომ ვერ გაიტანა, ფაქტია, მაგრამ მთავარი ის არის, შეიძლება თუ არა, ამ ფაქტის განზოგადება და „იუნაიტედის“ შემტევი პოტენციალის დაქვეითებაზე ლაპარაკი. ალბათ შეიძლება და აი, რატომ.

რუუდ ვან ნისტელროის კლასში ეჭვი არავის შეაქვს, მაგრამ „მანჩესტერის“ დონის გუნდისთვის, მუდამ უმაღლეს ჯილდოებს რომ ეპოტინება, ერთი უმაღლესი კლასის ფორვარდი საკმარისი არ არის.

დიეგო ფორლანი? შარშან იანვარში „მანჩესტერმა“ არგენტინულ „ინდეპენდიენტეს“ ურუგვაელში 7.5 მილიონი გირვანქა გადაუხადა. ფორლანმა ბოლო რვა შეხვედრაში მართალია, ხუთი გოლი გაიტანა, მაგრამ მის მთელ მანჩესტერულ მონაგარს თუ დავითვლით, აღმოჩნდება, რომ 51 შეხვედრაში ოდენ შვიდი გოლი გაუტანია, რაც, ცხადია, მეტისმეტად ცოტაა.

სერ ალექსს ასევე ჰყავს ოლე გუნარ სოლსკიაერი, ვინაც ბოლო წუთებზე გატანის დიდოსტატია. მაგრამ დევიდ ბექემის გაყიდვის მერე ნორვეგიელს უმეტესად განაპირა ნახევარმცველად ათამაშებენ. კიდევ ვინ შეიძლება შეუწყვილდეს შეტევაში ვან ნისტელროის? თეორიულად, პოლ სქოულზი, რაიან გიგზი, კრისტიანო რონალდო და დევიდ ბელიონი, მაგრამ მსგავს ექსპერიმენტებს ფერგიუსონი არ მიმართავს.

და თუ ყოველივე ამას გავითვალისწინებთ, როი კინის მოსაზრება სავსებით საფუძვლიანად გამოჩნდება.

ისევ კინი: „რომან აბრამოვიჩმა ამ ზაფხულს „ჩელსის“ 111 მილიონი გირვანქა დაახარჯა. მაგრამ ვინ იტყვის, რომ „ჩელსის“ გაძლიერება ამით დამთავრდა? ვფიქრობ, იანვარში კიდევ ვინმეს იყიდიან. და თუ გვინდა, რომ ჩემპიონები გავხდეთ, თუნდაც ერთი ახალი ფეხბურთელის საყიდლად ფულის დახარჯვა ჩვენც მოგვიწევს.“

ირაკლი ნინიძე

სამკურნალო გაერთიანება „ლიგა“

დახმარება მსოფლიო სტანდარტების დონეზე

სექსოპათოლოგიის კლინიკა

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:
  პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.

ანონიმურობა დაცულია ტელ: 32 21 21

ვაქცინაციის ცენტრი

- ფართო სპექტრის მომსახურება „ავენტის-პასტერის“ ვაქცინებით (საფრანგეთი-ლიონი)

წინასწარი ჩაწერა ტელეფონით: 32-44-78

სამკურნალო-დიაგნოსტიკური გაერთიანება „ლიგა“
თბილისი 380086, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11, ტელ: 32 21 21; 32 21 15

ესპანეთი

ლადო ხომერიკი

კასტილია ცეცხლში

დღეს მადრიდში ერთმანეთს არ მოერიდებიან





გრეგორიო მანსანო და კარლუშ კეირუში ერთმანეთს სიტყვით გაეჯიბრნენ

სრული 75 საპრიმერო წელიწადში გასულა მას შემდეგ, რაც მადრიდის „ატლეტიკო“ თანაქალაქელ „რეალს“ პირველად მიუხდა და მაშინდელ ერთგულ ინჩასთა სამწუხაროდ, 1:2 დათმო 1928-29 წლების სეზონის უმძინვარესი ჯახი. მოგეხსენებათ, ესპანეთი ტრადიციათა ერთგული ქვეყანაა, ხოლო იქაური ჩემპიონატის ტრადიცია თუ ადათი 2003 წლის 3 დეკემბერს უნდა გაგრძელდეს.

პრიმერადივიზიონის მე-14 ტურში კარლუშ კეირუშის სამეფო გუნდი გრეგორიო მანსანოს აგრესიულ „ათლეტებს“ კიდევ ერთხელ, ამჯერად უკვე 67-ჯერ უმასპინძლებს. დღეს სწორუპოვარი კასტილიური დერბის ზეობის დღე გახლავთ. ამ საღამოს მადრიდული დაშნები ერთმანეთს ძველჯავრიანად ეამბორებიან.

ორივე კლუბი „ბერნაბეუს“ „დღეობას“ უდანაკარგოდ გადაიხდის. ძნელია იმის თქმა, სტუმარ-მასპინძელს საფეხბურთო სამყაროსთვის რა დიდებული სპექტაკლი აქვს მომზადებული.

„ჩემი ფეხბურთელები მწყობრში არიან. ახლა სატურნირო ცხრილის მე-4 ადგილი გვიჭირავს, რისი დაკარგვაც არამც და არამც არ გვსურს და „რეალთანაც“ ოდენ მოგებისთვის ვითამაშებთ. ყველას ვპირდებით, რომ ურთულესი მატჩი იქნება“ — მშვიდად და წყნარად აღუთქვა გრეგორიო მანსანომ პირნეულ მედიას.

„ატლეტიკო“ რაოდენ დაძაბუნებულიც არ უნდა იყოს, ჩვენთვის მაინც მრისხანე მეტოქედ დარჩება. მით უმეტეს, ამჟამად საჩემპიონთალიგო ოთხეულის წევრია და წარმოიდგინეთ, „ბერნაბეუს“ რა განწყობითაც მოაკითხავს. რობერტო კარლოსი, ფიგუ, ზიდანი, ბექემი — ყველა ამ ფეხბურთელმა ტრავმა მოირჩინა და მანსანოს შეგირდებს მწვანე მინდორზე ნამდვილი ომი ელოდებათ. ჩვენი მიზანი მხოლოდ გამარჯვებაა“ — არანაკლებ აუღელვებელი იყო კარლუშ კეირუში.

„სანტიაგო ბერნაბეუზე“ მოწყობილ შეტაკებათა უმეტესობა (45 შეხვედრა) „რეალის“ მოგებით დასრულდა, 9-ჯერ მეტოქეებმა მძიმე დაზავება აღნიშნეს, ხოლო 12-გზის „ატლეტიკოს“ ფიესტა შედგა (ბურთების შეფარდება 135:81 კასტილიური გრანდის სასარგებლოდ). ამასთანავე შეგახსენებთ, რომ „თეთრ-წითელთა“ მარბიელ ლაშქრობას დღეს „დიდი გრეგორიო“ უმეთაურებს, ვინც „მალიორკას“ მწვრთნელობისას ერთხელ უკვე გააცამტვერა ქედმაღალი სამეფო კლუბი (5:1, 2003 წლის 3 მაისი).

გარდა ყოვლისმომცველი დერბისა, ესპანური სპორტული მედიის წამყვანი ფლაგმანები („მარკა“, „ლიბრედირეკტო“, „ასი“ და სხვა) „ვალიადოლიდ“ — „დეპორტივოს“ შეხვედრას გამოარჩევენ. ფერნანდო ვასკესის „ვალიადოლიდს“ ბოლო 6 მატჩია, არ წაუგია, საფეხბურთო ანარქიის მოყვარულ „დეპორს“ კი „ვილიარეალთან“ საშინაო მარცხის შემდეგ პრიმერას ლიდერობის დასაბრუნებლად იღბლიანი 3 ქულა ჭირდება. „ვიცი, რომ „ვალიადოლიდი“ კერკეტი კაკალია, თუმცა, ვფიქრობ, ამჯერად სატურნირო ცხრილის თაოსნობას ხელიდან აღარ გავუშვებთ“ — ივარაუდა გალისიელთა ბასკმა დამრიგებელმა ხავიერ ირურეტამ.

XIV ტური

გუშინ

სოსიედადი	—	ვალენსია

დღეს

ბეტისი	—	მურსია
სელტა	—	ალბასეტე
ესპანიოლი	—	ოსასუნა
რეალი	—	ატლეტიკო
ვალიადოლიდი	—	დეპორტივო
ვილიარეალი	—	მალიორკა
მალაგა	—	ბარსელონა

ხვალ

რასინგი	—	სევილია
სარაგოსა	—	ბილბაო

საღამისო ვითარება

ვალენსია	13	8	3	2	27:11	27
რეალი	13	8	3	2	27:15	27
დეპორტივო	13	8	2	3	21:10	26
ატლეტიკო	13	7	1	5	17:16	22
ბარსელონა	13	5	5	3	17:13	20
ოსასუნა	13	5	5	3	14:10	20
რასინგი	13	6	2	5	18:15	20
ბილბაო	13	6	2	5	16:14	20
ვილიარეალი	13	5	5	3	14:13	20
ვალიადოლიდი	13	5	4	4	18:20	19
მალაგა	13	5	2	6	13:16	17
მალიორკა	13	5	2	6	16:22	17
სევილია	13	3	6	4	16:16	15
სარაგოსა	13	4	3	6	13:15	15
სელტა	13	3	5	5	15:17	14
ბეტისი	13	3	5	5	15:17	14
სოსიედადი	13	3	5	5	15:19	14
ალბასეტე	13	4	0	9	13:19	12
მურსია	13	1	6	6	12:24	9
ესპანიოლი	13	2	2	9	10:25	8

სიმეონეს გული მოედანია

ინგლისმა ჯოხი ბექემზე გადატეხა

არგენტინელი დიეგო სიმეონე კვლავაც დევიდ ბექემის მოწინააღმდეგედ რჩება. დღეს „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ესპანური პრიმერას მე-14 ტურში იქაურ ინჩასებს მორიგი მადრიდული დრამა ელით — ბექემის „რეალი“ სიმეონეს „ატლეტიკოს“ უმასპინძლებს. მადრიდული დერბის წინასამატჩო პერიპეტიების შესახებ არგენტინელმა ნახევარმცველმა მადრიდულ „ასსთან“ ისაუბრა



დიეგო სიმეონე

— მას შემდეგ, რაც თქვენ „ატლეტიკოს“ დაუბრუნდით, ეს პირველი დედაქალაქური შერკინება იქნება. როგორია სიმეონეს აზრი ამ დერბისთან დაკავშირებით?

— უცხოეთში ყოფნისას სულ ვფიქრობდი „ვისენტე კალდერონზე“ დავბრუნებულიყავი, რაშიც მადრიდული ინჩადაც ხელს მიწყობდა. როცა ესპანეთში ჩამოვდიოდი, ხალხი ჩემზე უთითებდა და ამბობდა: „შეხედე, დიეგო სიმეონე, „ათლეტების“ ფეხბურთელი!“ გულისხმიერებისთვის მადლობელი ვარ, მაგრამ ისინი ხომ მარტო წარსულით ვერ იცხოვრებენ და მეც ხსენებულ დერბიში ვეცდები, ჩემს ქომაგებს სიხარული მივანიჭო. კარგი თამაში ან მეტოქის კარში გოლის შეგდება ნებისმიერ დროს შესანიშნავი რამაა, თუმცა „რეალთან“ თავის გამოჩენას სხვა, განსაკუთრებული ელფერი აქვს.

— 1998 წლის ფრანგულ მუნდიალზე თქვენი და ბექემის უსიამოვნო ინციდენტი ამ უკანასკნელის მოედნიდან გაძევებით დასრულდა, ინგლისის ნაკრებმა კი არგენტინასთან მნიშვნელოვანი შეხვედრა წააგო. ბექემი მაშინ ალბიონურმა მედიამ, ასე ვთქვათ, „ხალხის მტრად“ გამოაცხადა...

— დღევანდელი რეალელისთვის ის ალბათ, ცხოვრებაში ერთ-ერთი ურთულესი ეპიზოდი იყო. პრესამ ინგლისის წაგებაში ლამის მარტო ბექემი დაადანაშაულა, რაც სინამდვილეს არ შეეფერებოდა. მიხარია, რომ დევიდმა შეძლო და მძიმე მორალურ წნეხს მალე დააღწია თავი. ეს მის პიროვნულ და საფეხბურთო სიძლიერეზე მიუთითებს.

ემანუელმა ლაშქრობამდე ყველანი შეკრიბა და გამოუცხადა, იალბუზის წვერს ვინც ააღწევს, უხვად დავაჯილდოვებო. ამის მერე მწვერვალისკენ ოც კაზაკთან და მეგზურებთან ერთად დაიძრნენ: რუსეთის სამეცნიერო აკადემიის აკადემიკოსი ადოლფ კუპფერი, ფიზიკოსი ემილი ლენცი, ბოტანიკოსი კარლ მაიერი, ზოოლოგი ედუარდ მინეტრიე და არქიტექტორი იოსიფ ბერნარდაცი: ისინი 4270 მეტრამდე ავიდნენ. იქიდან ოთხი კაცის გარდა მწვერვალზე ყველამ ხელი აიღო, იერიშს კი ლენცთან ერთად შემორჩნენ მისი მხლებელი კაზაკი ლისენკოვი და ორი მეგზური ქილარ ხაშიროვი და აბია სოტაევი.

5350 მეტრის სიმაღლეზე უნაგირაზე რომ ავიდნენ, ლენცსა და ლისენკოვს ზემოთ ნაბიჯის გადადგმა აღარ შეეძლოთ და პირი იბრუნეს. ქანცგაწყვეტილნი მარტო რომ არ დაშვებულიყვნენ, მათ სოტაევიც გაჰყვა, იერიშს კი ხაშიროვი მარტოდმარტო შემორჩა.

ამის თაობაზე ექსპედიციის დღიურში წერია: „დაშვება მეტად რთული და სახიფათო იყო. თოვლი ფეხქვეშ გვეცლებოდა და ქვემოთ ხვრელი რჩებოდა, საიდანაც უძირო უფსკრულებს ვხედავდით. კაზაკები და მთიელები წყვილ-წყვილად თოკში ჩაებნენ. ამ ღირსშესანიშნავ დღეს ემანუელი ჩვენს მოძრაობას მშვენიერი ჭოგრიტით აკვირდებოდა. მან შეამჩნია, თუ როგორ დაწინაურდა ერთი ადამიანი და გავიდა ქვების გროვაზე, რომელიც მწვერვალს წარმოადგენდა. ემანუელს აღარც აეჭვებდა, რომ ერთ-ერთმა ჩვენგანმა მწვერვალს ააღწია.“

„როცა ქილარმა მწვერვალს მიაღწია, იალბუზის დაპყრობის აღსანიშნავად ბანაკში სალუტი დააქუხეს.“ ეს მოხდა 1829 წლის 10 ივლისს, დილის 11 საათზე.

იმაკე დღიურით ირკვევა, რომ ქილარ ხაშიროვმა საბაზო ბანაკში სხვებს ჩაასწრო, სადაც იალბუზის დამპყრობს დახვედრის საზეიმო ცერემონიალიც მოუწყვეს და ჯილდოდ 400 ვერცხლის რუბლი გადასცეს.

მაგრამ უცხოურ ალპინისტურ წყაროებში ქილარ ხაშიროვის ასვლა საკარაუდოდაა მიჩნეული, უეჭველ პირველამსვლელებად კი ინგლისელთა ექსპედიციის წევრები იოკლებიან, რომლებსაც სერ დუგლას ფრეშფილდი მეთაურობდა.

ფრეშფილდმა თანაგუნდელებთან ერთად 1868 წელს ალპების რამდენიმე მწვერვალი რომ დალაშქრა, დასავლეთ ევროპის ამ მთებში საქმე მოთავებულად ჩათვალა და კავკასიონს მიადგა. აქ მან ჯერ ჩვენი მყინვარწვერი და თეთნულდი დალაშქრა, მერე კი აღმოსავლეთ იალბუზს მიადგა. იგი ამ მწვერვალზე თანამემამულე მთამსვლელებთან ადოლფ მურთან, გ.გ. ტუკერთან და ფრანგ გიდ ფრანსუაზ დევუასუსთან ერთად ავიდა.

ჩვეულებისამებრ, უცხოურ ქრონოლოგიებში მითითებული არ არის მათი ადგილობრივი მეგზურის ახია სოტაევის სახელი, რომელიც ინგლისელებთან ერთად ასევე ავიდა მწვერვალზე.

ასე იყო თუ ისე, შინ დაბრუნებულმა დუგლას ფრეშფილდმა კავკასიური ლაშქრობების თაობაზე წიგნი დაწერა, მას იტალიელი ვიტორიო სელას მიერ გადაღებული ფოტოები დაურთო და დასავლეთს ამგვარად გააცნო ჩვენი მწვერვალები. ფრეშფილდი თავის წიგნში ერომანეთს ადარებს კავკასიონისა და ალპების პიკებს, უპირატესობას კი სწორედ ჩვენს მწვერვალებს ანიჭებს. ამან დასავლეთ ევროპის მთამსვლელთა ინტერესი კავკასიონისადმი უფრო გააღვივა, მათგან კი ისევ ინგლისელთა ექსპედიცია აღმოჩნდა პირველი, რომელმაც იალბუზის აღმოსავლეთის მწვერვალი დალაშქრა. ემ მოხდა 1874 წელს, როცა მასზე ინგლისელ ფ. გარდნერთან, ფ. გროვთან და გ. უოლკერთან ერთად მათი ავსტრიელი გიდი ჯ. კნუბელი და ყაბარდოელი მეგზური ახია სოტაევი ავიდნენ. ამგვარად, ეს ყაბარდოელი გახდა პირველი ადამიანი, ვინც იალბუზის ორთავ წვერზე ფეხი შედგა.

პირველი ადამიანი, ვინც იალბუზის ტრავერსი განახორციელა, იყო უნგერნ-შტერბერგი, რომელმაც დასავლეთის მწვერვალიდან უნაგირას გავლით 1889 წელს ჩრდილოეთით მალკის ველისკენ გადაიარა. ერთ დღეში ორივე მწვერვალი პირველმა შვეიცარიელებმა გუგმა და დე რამმა დალაშქრეს. ეს 1910 წელს მოხდა.

ამ მწვერვალზე პირველი ზამთრის ასვლა 1934 წელს შესძლეს რუსმა მთამსვლელებმა ვიქტორ კორზუნმა და ალექსანდრ გუსევმა, რომლებიც აღმოსავლეთ პიკზე ავიდნენ. იმავე წელს იალბუზი ზამთარში პირველად დალაშქრეს ქალებმაც. ესენი იყვნენ ორჯონიკიძის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები, მათ შორის ჩვენი თანამემამულე ე. ჩიხრაძეც (მასთან ერთად ავიდნენ ა. არაქელიანი, ა. პოლტორადნევა, მ. სვეშნიკოვა და ზ. როდკინა)

საერთოდ, იალბუზთან მჭიდროდ და მეტად საინტერესოდაა დაკავშირებული ქართველ მთამსვლელთა ლაშქრობები. მათგან პირველი იყო გიორგი ქავთარაძე, რომელიც რუსეთის სამხედრო ტოპოგრაფების კორპუსის კაპიტანი გახლდათ და საერთოდ კავკასიონის ტოპოგრაფიულ აგეგმვაზე მუშაობდა. ამ მიზნით მან არაერთი ასვლა განახორციელა მწვერვალებზე და მთელს რუსეთის იმპერიაში გახდა პირველი, ვინც 1891 წლის 18 ივლისს უილფათაზე (4647მ) ავიდა. რუსეთის იმპერიაში იგი ერთ-ერთი პირველი, ვინც იმავე წელს იალბუზი დალაშქრა.

1925 წელს თბილისის უნივერსიტეტის ახალგაზრდა დოცენტ გიორგი ნიკოლაძის მეთაურობით იალბუზის აღმოსავლეთი 19 მთამსვლელმა დალაშქრა, რაც პირველი საბჭოური ასვლა იყო.

და საერთოდ, ეს იყო პირველი მასობრივი ასვლა იალბუზზე. ამასთან, ჯგუფში იყო ხუთი ქალი, რომლებიც ამ მწვერვალის ისტორიაში მისი პირველდამპყრობი ქალბატონები აღმოჩნდნენ.

იალბუზის ისტორიაში ძალზე საინტერესო იყო 1966 წელი. მაშინ ჩვენი ნალჩიკელი თანამემამულე, ალექსანდრ ბერბერაშვილი, რომელიც მოტოსპორტში სპორტის ოსტატი და ყაბარდო-ბალყარეთში დოსაფის ავტო-მოტოკლუბის შექმნის ერთ-ერთი ორგანიზატორი გახლდათ, მწვერვალზე მოტოციკლეტით ავიდა და ამგვარად იალბუზის დამპყრობთა ისტორიაში შევიდა. რამდენიმე დღის მერე იმავე აღმოსავლეთ პიკზე პირველად დაჯდა შვეულმფრენი, რომლის პილოტებიც იყვნენ ი. რახმანოვი და ნ. ხასანშინი.

მაგრამ დავუბრუნდეთ ბერბერაშვილის თავგადასავალს, რომელმაც სხვებთან ერთად იალბუზზე მოტოციკლეტით ლაშქრობა პირველად 1963 წელს და მერეც უშედეგოდ სცადა. ბოლოს, როცა მიზანს მიაღწია, იქიდან მოტოციკლეტით ველარ დაბრუნდა და იქვე დატოვა. თუმცა, მწვერვალზე მოტოციკლეტით ასვლაში მას ბევრნი ეხმარებოდნენ, რომლებიც თოვლში ჩაჟღული მანქანის ამოთრევაში ეშველებოდნენ.

ბერბერაშვილის მოტოლაშქრობაზე თავისი აზრი მოგვახსენა ასევე ჩვენმა თანამემამულემ, ტერსკოლელმა საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონმა და პრიზიორმა, მთამსვლელმა იოსებ კახიანმა: „მოტოციკლეტი ადამიანმა იმისთვის გამოიგონა, რომ კაცი ატაროს და არა იმისთვის, რომ კაცმა ათრიოს ზურგით. იმ ჩვენმა თანამემამულემ ერთი ყუთი კონიაკისა და ერთი ცხვრის საფასურად რამდენიმე ჯანიანი ახალგაზრდა დაიქირავა და მათი შემწეობით მოტოციკლეტი იალბუზზე აიტანა. მერე იქიდან ისე გადაიკარგა, რომ კონიაკიც დაავიწყდა და ცხვარიც. ერთი წლის შემდეგ კი ის მოტოციკლეტი მთამსვლელებმა მწვერვალიდან გადმოუძახეს.“

ასე იყო თუ ისე, ფაქტი ფაქტად რჩება — ალექსანდრე ბერბერაშვილი მწვერვალზე მოტოციკლეტით იყო და იალბუზის დალაშქვრათა ისტორიაშიც თავის რკინის ცხენიანად შევიდა.

სხვათა შორის, ამ ორთავა ბუმბერაზის დალაშქვრა 1965 წელს ნამდვილი, სულიერი ცხენებითაც სცადეს. მხედრებმა 4000 მეტრამდე „პასტუხოვის თავშესაფრამდე“ ააღწიეს, მერე კი ცხენებს თავიანთ პატრონებზე მეტი ჭკუა აღმოაჩნდათ, გაჭიუტდნენ და ზემოთ ერთი ნაბიჯიც აღარ გადადგეს.

იალბუზის უხუცესი დალაშქრავია ყაბარდოელი, ჩოკა ზალიხანოვი, რომელიც მრავალჯერ ასულა ამ მწვერვალზე, ბოლოს კი, იქიდან 110 წლისამ (!) გადმოიხედა.

დასასრული იქნება

NBA რეგულარული ჩემპიონატი

ო, საძულველო შტატო, კალიფორნიავ მაკდაიესს ამნეზია შეეყარა



ანტონიო მაკდაიესს თამაში დავიწყებია

1 დეკემბერი

კლიპერსი 91:83 სან ანტონიო
კლიპერსი: მეჯიტი (24), კამანი (15), სან ანტონიო: როუზი (26)

იუტა 91:84 ნიუ ჯერსი
იუტა: კირილენკო (18)
ნიუ ჯერსი: ჯეფერსონი (22)

ნიუ იორკი 78:79 დეტროიტი
ძირითადი დრო 70:70
ნიუ იორკი: ჰიუსტონი (20)
დეტროიტი: ბილაფსი (24)

ბოსტონი 89:96 მემფისი
ბოსტონი: პირსი (26)
მემფისი: გასოლი (19)

ფინიქსი 82:89 ინდიანა
ფინიქსი: მარიონი (15)
ინდიანა: ონილი (32)

ჩიკაგო 97:87 მილუოკი
ჩიკაგო: კროუფორდი (30), კარი (22)
მილუოკი: რედი (26), მეისონი (18)

„სან ანტონიოს" უიღბლო წყნაროკეანური ტურნე წარმატებით გრძელდება. ჩემპიონებმა თუ ორი დღის წინ ლიგის „ყვითელ საფრთხესთან" „ლეიკერსთან" წააგეს, მათ მომდევნო ორ მარცხს გამართლება თითქმის არა აქვს. ტიტულმპყრობელმა მომდევნო მატჩი ოკლენდში დათმო ისე რა „გოლდენ სტეიტთან", გუშინწინ კი ისევ ლოს ანჯელესში დაბრუნდა და გასაცოდავებულ „კლიპერსსაც" თეთრი დროშა გამოუფინა.

სანანტონიოლები თავს ვერ იმართლებენ ლიგის უყოჩაღესი კალათბურთელის არყოფნით — ტიმ დანკანს ოკლენდში მსაჯისთვის ქოქოლა დაუყრია და დისკვალიფიცირებულია — თავის მხრივ ხომ კლიპერსელებს რა ხანია, ტრავმირებული ჰყავთ ერთადერთი თვალისჩინო კაცი ელტონ ბრენდი.

„ჩემპიონი გაბრაზებული ჩამოვიდა ოკლენდიდან და წალეკვას გვიქადდა, მაგრამ ჩვენც გვაქვს თავმოყვარეობა, მრისხანე მეტოქეს ღირსეულად დავუდექით" — მასპინძელ კორი მეჯიტის ყველანაირი უფლება ჰქონდა, გამოეხატა საკუთარი გუნდის სათქმელი. მან ლომის წილი დაიდო გამარჯვებაში.

დანკანის არყოფნაში „კლიპერსმა" პირწმინდად მოაოხრა ტეხასელთა სამწამიანი ფართი — ამ მიდამოდან ლოსანჯელესელებმა 50 ქულა მოქაფეს. მასპინძელთაგან ერთადერთს, ვისაც შესაძლოა, ეხამუშა დანკანის არყოფნა, კლიპერსელთა ახალბედა კრის კამანი იყო. „ძალიან მინდოდა დანკანთან თამაში. ის დიდი კალათბურთელია და ოცნებად მაქვს მისი მეურვეობა" — ალალად თქვა ჭაბუკმა.

ჩემპიონზე უარეს დღეშია ვიცეჩემპიონი „ნიუ ჯერსი", თამაშს თამაშზე აგებს და აქეთა კონფერენციაში შეუფერებელ მერვე ადგილზეა. „ბადეებს" მორიგი ალიყური მორმონმა „ჯაზმენებმა" აჰკიდეს. ჯერსელები იმით თუ ინუგეშებენ თავს, რომ სოლტ ლეიკ სიტოში ნასტუმრები 8 გუნდიდან თავაწეული მხოლოდ ერთი წამოსულა.

მომხვდურები გამორჩეულად ანერვიულა რუსმა ანდრეი კირილენკომ, რომლისთვისაც ორმაგი დუბლის შესრულება ბორშის ხვრეპასავით იოლი გამხდარა. კირილენკომ „ბადეები" 18 ქულით დაცხრილა და ფარზე ისედაც გამრჯე თავისიანებს 10 მოხსნაც მიაშველა.

მესამე მეოთხედში 19 ქულით ჩამორჩენილმა „ნიუ ჯერსიმ" კი მოახერხა და საფინალო სირენამდე 35 წამით ადრე 3 ქულით მიუახლოვდა „იუტას", მაგრამ კარლოს არიოის ტრავმის გამო მოთამაშე რაულ ლოპესმა საჯარიმოები არ გააცუდა.

დღის ერთადერთი ოვერტაიმი დაფიქსირდა ნიუ იორკში, სადაც ანტონიო მაკდაიესის მობრუნებით გამოწვეული ზეიმი „დეტროიტმა" ჩაახშო. ნიუიორკელები საბოლოოდ ორმაგად გაწბილებულნი დარჩნენ. მათმა გუნდმა ხომ წააგო და ნიუიორკელ ფანთა იმედები ვერც 19 თვეში მუხლის სამი ოპერაციის გადამტანმა მაკდაიესმა გაამართლა. „ნიქსმა" უკვე ტრავმირებული მაკდაიესის ნაცვლად შარშან „დენვერს" მარკუს კემბი და დრაფტზე მე-7 ნომრად აყვანილი ნენე ილარიო მისცა. ანტონიოს ფეხი კარგა ხანი არ მოურჩა და წლინახევრის შემდეგ გუშინწინდა გამოჩნდა მოედანზე.

მაკდაიესი ისე ღელავდა, რომ ტრადიციულ წინასამატჩო ჰიმნზე გასახდელიდან ვერ გამოვიდა, მერე კი მოედანზე ისე აიჭრა, ჩვენს ენაზე რომ წავუჟარგონოთ, „მალაკოს" „მალაკოზე" აკეთებდა.

„მან რთული დღეები გამოიარა, ბარე ორი წელი არ უთამაშია და დიდ ემოციურ ზეწოლას განიცდიდა — შენიშნა მისმა დეტროიტელმა ოპონენტმა ბენ ვოლესმა — მაკდაიესმა ბლომად ბურთები ააცილა, მაგრამ მასში ძველებურად ბუდობს ცხოველის ბუნება, რომელიც სულ მალე გარეთ გამოიჭრება."

მაკდაიესი დიდხანს არ გააჩერეს მოედანზე და ალბათ ყველაზე ნაკლები ბრალიც მიუძღვის თავისიანთა წახდენაში. ალან ჰიუსტონმა უკანასკნელ წამებზე კი მოახერხა თამაშის ოვერტაიმში გადაყვანა, მაგრამ დამატებითი ხუთწუთიანის მიწურულს ველარ გაბედა იგივეს გაკეთება, ბურთი უნიათო მაიკლ დოლიკს მიაჩეჩა, რომელსაც ზედ საფინალო სირენის თანხლებით დააფარა თურქმა მეჰმედ ოქურმა.

გამოსარჩევია „ჩიკაგო ბულზის" გამარჯვება ზედიზედ 8 მარცხის შემდეგ. მთავარი მწვრთნელის პოსტზე ჩინებული დებიუტი მოიწყო სკოტ სკაილზმა. მისი თავკაცობით პირველსავე მატჩში „ხარებმა" მილუოკელი „ხარირმები" გათქერეს.

ირაკლი პერტაია

რქები ავლესოთ, ხარებო, რქები ავლესოთ! პაქსონმა ჩიკაგო შეაჯანჯღარა

„ჩიკაგო ბულზის" გამგებლად ბებერი და ყველასგან მოძულებული ჯერი კრაუზეს ნაცვლად ენერგიული ჯონ პაქსონის მოსვლამ კლუბის ყველა ეშელონი შეაჯანჯღარა. „ბულზის" ოდინდელმა მოთამაშე პაქსონმა ამ რამდენიმე დღის წინ მწვრთნელი ბილ კარტრაიტი სკოტ სკაილზით შეცვალა, ამ შაბათს კი ხმაურიანი გაცვლაც გაჩარხა.



ჯალენ როუზს სიზარმაცე არ შეარჩინეს და „ჩიკაგოდან" მიაბრძანეს

პაქსონის მეცადინეობით „ჩიკაგოდან" „ტორონტოში" გადაბარგდნენ „ბულზის" ბოლო წლების მთავარმექანეული ჯალენ როუზი, რომელიც ამ სეზონში საშუალოდ 14 ქულასაც ვერ იხვეჭდა, დონიელ მარშალი და ჯონი ბაქსტერი (ეს უკანასკნელი მხოლოდ ბალასტია). საპირისპირო მიმართულებით კი იმოგზაურეს ანტონიო დევისმა, ჯერომ უილიამსმა და ვინმე ჯარედ ჯეფერისმა.

„ტორონტოში" თანდათან ავიწყდებოდათ ქულების კეთების ხელობა, მხოლოდ ვინს კარტერის იმედად იყვნენ და ახლა ჯალენ როუზი თუ მოასულიერეს, იქნებ წელშიც გაიმართონ. ხოლო „ჩიკაგომ" ორი კარგი მეფარე — დევისი და უილიამსი — სწორედ დროულად შეიძინა. ჯერაც დაუღვინებელ ტაისონ ჩანდლერს და ედი კარის აშკარად უჭირდათ დიდი მეტოქეების შეჩერება.

„ჩიკაგომ" უკვე ნახა სარგებელი ამ გაცვლებით, გუშინწინ სკოტ სკაილზის იღბლიანი დებიუტი შედგა — ახალ სისხლგადასხმულმა „ბულზმა" „მილუოკის" 97:87 მოუგო და წაგებების ჯაჭვი გაწყვიტა.

უკმეხსიტყვა



ლებრონისა არც 33 ქულა ჰრის

მარკეტინგული აპარატის დამპყრობი ლებრონ ჯეიმსი დღითიდღე სულ უფრო მეტი ქომაგის გულს აბავს. ამ შაბათს „კლივლენდის" ჯუნდერა-ხალბედამ ახალდაწყებული კარიერის სარეკორდო თამასა 33 ქულამდე ასწია და ერთხელაც ალფრთოვანა აუდიტორია, თუმც „კლივლენდს" ვერც ახლა უშველა. საუკეთესო მატჩი ლებრონს მემფისელმა პაუ გასოლმა და საერთოდ მისმა გუნდმა ჩაუშხამა. თავიდან ყველაფერი „კლივლენდისთვის" იდეალურად მიდიოდა. „მემფისის" თავქარიან გამთამაშებელ ჯეისონ უილიამსს პირველ მეოთხედში კრუნჩხვებმა მოუარა და გასახდელში ძლივს მოასულიერეს. მის არყოფნაში კი ლებრონისიანებმა უზარმაზარი ფორა მოიპოვეს, მაგრამ...

ბოლო მეოთხედში „გრიზლები" გადაირივნენ, დასაწყისი 18:0 მოიგეს, „კავალერიას" 24-ქულიანი უპირატესობა დაუგდებინეს და ჯეიმსის ქომაგთა არმიას მეორე ოვერტაიმში საბოლოოდ მოუკლეს იმედი. პაუ გასოლმა 37 ქულა დააგროვა, ჯეისონ უილიამსის ნაცვლად გამთამაშებლად დამდგარმა ტლანქმა თეთრმა ბიჭმა მაიკ მილერმა კი 20 ქულასთან ერთად კარიერაში უმეტესი, 13 პასი შეაგროვა და ზედაც 8 მოხსნა მოაყოლა.

„პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის" გენერალიტეტმა ბოლოს და ბოლოს გაბედა ურჩი მოთამაშეების ერთხელ და სამუდამოდ ალაგმვა. მწვრთნელ მორის ჩაკსის წინააღმდეგ ამხედრებული ბონზი ველსისთვის ტრიბუნალი არ მოუწყვიათ, მაგრამ სამაგიეროდ სასტარტო ხუთეულიდან ამოაგდეს ისიც და შლეგ რაშიდ ვოლესიც. ამ ამბების გამო გაღიზიანებულმა ველსმა ვერც თადარიგში ივარგა, პარასკევს „ნიუ ჯერსისთან" 17 უქულო წუთი ითამაშა და ვოლესმაც მხოლოდ 11 ქულა გააკეთა, მაგრამ „პორტლენდი" უმათოდაც გაუმკლავდა მომხვდურს. ახლა კლუბის ბოსები ამ ორიდან ერთ-ერთს ან სულაც ორივეს ტრანსფერზე დააყენებენ და 19 თებერვლის დედლაინამდე ალბათ მოიშორებენ კიდეც, თან ყოველგვარი სინანულის გარეშე. აგერ, ბუთხუზა ბიჭუნა ზაკ რენდოლფი ისე ათამაშდა, ამ ორივეს ერთად სჯობნის.

სეზონის დასაწყისში ჩამოწოლილი გაურკვევლობის ნისლი ჯერ არ გაფანტულა და მკაფიოდაც არაფერი გამოკვეთილა გარდა ერთისა — „ლოს ანჯელეს ლეიკერსი" ამ ნისლშიც ცხრათავიან დევად ჩანს. ალბათ კარგა ბევრი თამაში ჩაივლის, სანამ შაკილ ონილი, კარლ მელუნი, გერი პეიტონი და კობი ბრაიანტი ბურთის ერთმანეთში გაყოფას ისწავლიან, მაგრამ ისინი ასე მოუწესრიგებლებიც ახერხებენ შემხვედრთა დაწიოკებას. ამ პარასკევს ჯერ ჩემპიონ „სან ანტონიოს" მოუგეს 16 ქულით, ხოლო ორ დღეში პრეტენზიული აღმოსავლელი „ინდიანა" „სტეიპლზ სენთერიდან" 22-ქულიანი დანაკარგით გააბრუნეს. „სან ანტონიოსთან" შაკილ ონილს ხეირიანად არც უთამაშია, ხოლო კარლ მელოუნმა მართალია, მხოლოდ 10 ქულა მოაგროვა, მაგრამ ამ მწირ მონაგარს 11 მოხსნა და 10 პასი მოაყოლა და ნბა-ს ისტორიაში პირველ კაცად ჩაეწერა, ვინაც 40 წლისამ სამმაგი დუბლი შეასრულა.



კარლ მელოუნი (მარცხნივ) 40 წლისაც მისალოც საჭმეებს აკეთებს

აღმოსავლეთი					დასავლეთი			
ატლანტიკა					**მუდ-დასავლეთი**			
ფილადელფია	9	9	50,0		დალასი	11	6	64,7
ბოსტონი	7	10	41,2		დენვერი	10	6	62,5
ნიუ ჯერსი	7	10	41,2		იუტა	10	6	62,5
ნიუ იორკი	7	11	38,9		ჰიუსტონი	9	7	56,2
ვაშინგტონი	6	10	39,5		მინესოტა	9	8	52,9
მაიამი	5	12	29,4		სან ანტონიო	9	9	50,0
ორლანდო	1	15	6,2		მემფისი	8	8	50,0
ცენტრალური					**წინარი ოკეანე**			
ინდიანა	15	3	83,3		ლეიკერსი	14	3	82,4
დეტროიტი	13	6	68,4		საკრამენტო	12	4	75,0
ნიუ ორლეანი	11	6	64,7		სიეტლი	8	6	57,1
ტორონტო	8	8	50,0		გოლდენ სტეიტი	8	7	53,3
მილუოკი	8	9	47,1		პორტლენდი	8	7	53,3
ატლანტა	6	12	33,3		ფინიქსი	7	9	43,8
ჩიკაგო	5	12	29,4		კლიპერსი	5	8	38,5
კლივლენდი	4	13	23,5					

საკუთარ თავსაც მივხედოთ



სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციას ისევ ელგუჯა ბერიშვილი უთავკაცებს

მუდამ სხვათა პრობლემებზე მწერალმა სპორტულმა ჟურნალისტებმა გუშინ საკუთარ თავსაც მივხედეთ. საამისოდ საქართველოს ჟურნალისტთა სახლში ჩვენი ქვეყნის სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის წევრები საანგარიშო-საარჩევნო კონფერენციისთვის შეკრებილნი.

ასოციაციის პრეზიდენტმა ელგუჯა ბერიშვილმა ოვითკრიტიკულად დაიწყო, მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ საანგარიშო პერიოდში მაქსიმალურად ვიმუშავეთ. ეგ კი არა, შესაძლებლობების ნახევარიც ვერ გამოვიყენეთო, მერე კი ასოციაციის ნამოღვაწარი შეგვახსენა, რამაც ურიგო შთაბეჭდილება სულაც არ დატოვა.

მომხსენებელმა გაიხსენა, რომ ჩვენი ასოციაციის ძალისხმევით საქართველოს სპორტის აკადემიაში აღდგა სპორტულ ჟურნალისტთა გაყოფილების საქმიანობა, რომელიც ორ წელიწადს მივიწყებული იყო. ბერიშვილმა შეგვახსენა, რომ ჩვენი მომავალი კოლეგების აღსაზრდელად სხვებთან ერთად მუშაობენ ჩვენივე კოლეგები თენგიზ გაჩეჩილაძე და თემურ ჯაფარიძე, თავად სტუდენტებისთვის კი დაარსდა ყოველთვიური გაზეთი, რომლის დღის სინათლეც თოთხმეტმა ნომერმა იხილა.

ჩვენი ასოციაციის აქტივში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ჩვენივე უფროსი კოლეგის მიხეილ კაკაბაძის ხსოვნის დღესთან დაკავშირებით დასტამბული მშვენიერი წიგნის პრეზენტაციას; ამავე აქტივშია საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან ერთად გამართული სპორტულ ჟურნალისტთა სემინარი, ასევე ამ ორგანიზაციასთან, საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციასთან და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად მოწყობილი ლაშქრობა კავკასიონის ერთ-ერთ უსახელო მწვერვალზე, რომელსაც „საქართველოს ოლიმპიელი“ ეწოდა, რაშიც ალპინისტებთან ერთად ოლიმპიური ჩემპიონები ვახტანგ ბლაგიძე, შოთა ხაბარელი და სპორტული ჟურნალისტებიც მონაწილეობდნენ...

კამათში გამოსვლების მერე გაიმართა ასოციაციის პრეზიდენტისა და აღმასკომის წევრთა არჩევნები. საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტად ყველამ ერთხმად ავირჩიეთ ელგუჯა ბერიშვილი. მან ბოლოს ისაუბრა მეტად საინტერესო სამომავლო გეგმებზე. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი სპორტული ენციკლოპედიის გამოცემაა, რისთვისაც საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის, ოლიმპიური ფონდისა და ჩვენი ქვეყნის სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის დახმარებით კარგა ხანია საკმაოდ შრომატევადი სამუშაოები მიმდინარეობს.

ავთანდილ ჯყვიშელი

ჰერტრუდა ედერლე ლა მანშის გადასაცურად ემზადება

გარდაიცვალა ლა მანშის გმირი

გუშინწინ ნიუ-ჯერსში 98 წლისა გარდაიცვალა ჰერტრუდა ედერლე. ეს ამბავი ყველა დიდმა საინფორმაციო სააგენტომ გაავრცელა

მაინც, რამ გაახსენათ მოხუცთა თავშესაფარში მცხოვრები, ყველასგან მივიწყებული ეს ქალბატონი?

საქმე ისაა, რომ ჰერტრუდა ედერლე იყო მთელ დედამიწაზე პირველი ქალი, რომელმაც ლა მანშის სრუტე გადაცურა. ეს მოხდა 1926 წლის 6 აგვისტოს, იმ ავდრიან ცივ დღეს, როცა თავსხმა წვიმაში სრუტის ტალღები შფოთავდნენ და ბორგავდნენ. მაშინ 19 წლის ედერლე საფრანგეთის სანაპიროდან გადაეშვა წყალში და მისგან 20,15 მილით (34,6 კილომეტრი) დამორებულ ინგლისის მიწაზე 14 საათისა და 30 წუთის მერე ამოვიდა. ედერლეს მიერ გაცურული მანძილი რეალურად 35 კილომეტრს მაინც უდრიდა, რადგან იგი ტალღებსა და დინებასაც ებრძოდა.

ჰერტრუდა ედერლემ 1922-23 წლებში მსოფლიოს რეკორდები დაამყარა 100, 200, 400 და 500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში. 1924 წელს პარიზის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონობაზეც ოცნებობდა. მან 4X100 მეტრზე თავისუფალი სტილით მოცურავეთა ესტაფეტაში მართლაც მოიპოვა ოქროს მედალი და კიდევ ერთი მსოფლიო რეკორდის თანაავტორი გახდა, ინდივიდუალურ სახეობებში, 100 და 400 მეტრზე ცურვაში კი „ბრინჯაო“ მოიპოვა. ამის შემდეგ ბევრი ფიქრობდა, რომ ჰერტრუდას მზე, როგორც მოცურავისა, ჩაესვენა, მაგრამ მან 1926 წელს ლა მანში ქალთაგან პირველმა გადაცურა.

ლა მანში ანუ ინგლისის არხი პირველად 1875 წლის 12 აგვისტოს, როგორც ცნობილია, ინგლისელმა მეტიუ უებმა გადაცურა (21 საათი, 44 წუთი, 05 წამში). ამ ფაქტთან დაკავშირებით დუვრის მერმა თქვა, ნიძლავს ვდებ, რომ ლა მანშს ვეღარავინ გადაცურავსო.

მართლაც, გავიდა 21 წელიწადი და ლა მანში ვეღარავინ დაიპყრო, მაგრამ მერე ეს სრუტე კიდევ ოთხმა (ზოგი მონაცემით ორმა) მამაკაცმა გადაცურა, თუმცა უების შედეგი მხოლოდ 59 წლის მერე გაუმჯობესდა.

და აი, 1926 წელს სრუტე პირველად დაიპყრო ქალმა, თანაც ისე სწრაფად (14 საათი და 31 წუთი), რომ წინამორბედ მამაკაცთაგან უსწრაფესს მთელი 2 საათით აჯობა.

ნიუ იორკში დაბრუნებულ ჰერტრუდას გრანდიოზული დახვედრა მოუწყვეს. მის შესახვედრად ბროდვეიზე ორ მილიონზე მეტი კაცი მოვიდა. ქალაქის მერმა და სხვებმა იგი უხვად დაასაჩუქრეს და ჯილდოებითაც აავსეს.

ცნობისთვის — ზემარათონელ მოცურავეთათვის ცივი, 13 გრადუსიანი ლა მანშის დაპყრობა იგივეა, რაც მთამსვლელთათვის ევერესტზე ურთულესი გზით ასვლა და ეული იახტსმენებისთვის პირქუში ჰორნის კონცხის გასწვრივ ცურვა, ან იქნებ მეტიც...

ავთანდილ გურასაშვილი



ჰერტრუდას ბროდვეიზე ორ მილიონზე მეტი კაცი შეეგება

რაგბი



ჯონ მიტჩელი ის კაცია, მსოფლიოს თასამდე ლამის გმირად რომ შერაცხეს მშობლიურ ახალ ზელანდიაში, ახლა კი ეგებ განტევების ვაცადაც გამოიყვანონ და საგაისო სამი ერისთვის „ოლ ბლექსი“ სხვას ჩააბარონ. აქამდე ითქვა, მიტჩელი „შავების“ მწვრთნელად დარჩებაო, მაგრამ ბოლოსკენ სიტუაცია შეიცვალა

ჯონ მიტჩელი:
ხალხო, უბრალო ვარ, უბრალოდ, არ გამიმართლა

„შეიძლება, წავიდე, გამორიცხული არაფერია — ამბობს ხოტორა მიტჩელი — ახალ წლამდე მოვიფიქრებ. ისიც გასარკვევია, ბოსებს ალალად სურთ თუ არა ჩემთან კონტრაქტის გაგრძელება.“

მიტჩელის კიდევ ბევრი ჰკითხეს, ჩვენ კი ყველაზე საინტერესო მონაკვეთებს გავეცნოთ. — „ვფიქრობ, შეცდომა არ დამიშვია. ავსტრალიაში გუნდი-ვარსკვლავი ჩავიყვანე. ტაქტიკურად ალბათ ყველაზე კარგად ვიყავით მომზადებულები და ყველაზე ლამაზი რაგბი ვითამაშეთ. ვინც შემომედავება, რომ ჩვენ მოსაწყენი თამაში ვაჩვენეთ და ფანტაზია გვაკლდა, დავახრჩობ. დღემდე ვერ ამიხსნია, რატომ წავაგეთ ავსტრალიასთან, უბრალოდ, ის ჩვენი დღე არ იყო.“

მიტჩელი არ ნანობს, რომ სახლში დატოვა კრისტიან ქალენი, ენდრიუ მერთენსი, სკოტ რობერტსონი და ნახევრფინალში არ ათამაშა ვიცე-კაპიტანი ტანა უმაგა — „ქალენი და მერთენსი ვერაფერს შეცვლიდნენ. რა, ვინც მათ ვამჯობინე, არ გაამართლეს? ჯო როკოკოკომ და მაილს მულიანამ დაგლიჯეს... თავს არ ვიქებ, მაგრამ მსოფლიო რაგბის ახალი ზევარსკვლავები ვაჩუქეთ. ისინი „ოლ ბლექსის“ მომავლები კი არა, უკვე ლიდერები არიან. რაც შეეხება უმაგას, იგი ჯანმრთელად იყო, ოღონდ ჩემი მოსაზრებების გამო ვერ ითამაშა. შუამარბად აარონ მეივერი და ლეონ მაკდონალდი დავაყენე. ორივე მშვენივრად ურტყამს ფეხს. ამით მეტოქეს მოულოდნელობის მომენტი შევთავაზე. მეტოქემ არ იცოდა, რაქიდან გამოტანილ ბურთს სპენსერი ამოცხებდა არეკს, მეივერი თუ მაკდონალდი. გარდა ამისა, სპენსერი დარტყმისას არასტაბილურია, ამიტომ ერთი საიმედო დამრტყმელი უნდა მყოლოდა, ის კი მაკდონალდი იყო. აკი ჩვენი ბომბარდირიც გახდა.“

სანამ მიტჩელი „ოლ ბლექსში“ დარჩენა-არდარჩენაზე ფიქრობს, ევროპიდან მას უკვე შეეხმიანნენ და მაცდური წინადადებებით თავისკენ ეჭიჩებიან, განსაკუთრებით ფრანგული კლუბები აქტიურობენ. მიტჩელმა მათი დაკონკრეტებისგან თავი შეიკავა.

აქვე ვთქვათ, რომ დიდი შანსია, ფრანგულ ლიგაში აღმოჩნდეს, მეტიც, ჩვენი მონფერანელების, ლევან ცაბაძის და დავით აშვეთიას თანაგუნდელი გახდეს „შავების“ კოლორიტი მორაგბე ტანა უმაგა. უმაგას გადაუწყვეტია, დასტა-დასტა შემოთავაზებები განიხილოს და სამშობლოდან აიბარგოს. თუ უმაგამ კარიერა ლეგიონერად გააგრძელა, მაშინ იგი ავტომატურად დაემშვიდობება „ოლ ბლექსს“, რაკი იქ ლეგიონერებისთვის ადგილი არ არის. ბოლო ინფორმაციით, უმაგას იაპონიიდანაც შეეხმიანნენ და ერთ-ერთმა იქაურმა კლუბმა ექვსკეთრა კონტრაქტი შესთავაზა.

ბაჩო სვანიძე

ტანა უმაგას თავში „ოლ ბლექსიდან“ აბარგება და საფრანგეთში გადაბარგება უტრიალებს

ფორმულა ერთის საჯინიბოებში ჩამოყენებულ თითქმის ყველა ბედაურს გამოუჩნდა „პატრონი“. პილოტები მხოლოდ მაჩანჩალა „ჯორდანსა“ და „მინარდის“ აკლიათ სხვაგან კი ყველგან ამოიწურა ვაკანსიები

ვეფხვი და ყრმა ბიჭუნა იაგუარზე შესვეს



20 წლის კრისტიან კლიენს „იაგუარმა“ თავისი მომავალი ანდო

გუშინ „იაგუარმაც“ დაასახელა მეორე პილოტის ვინაობა. ავსტრალიელ მარკ ვებერს „იაგუარის“ ამბიციათა განხორციელებაში დაეხმარება ყველასთვის უცნობი ავსტრიელი კრისტიან კლიენი, რომელიც, არც მეტი არც ნაკლები, 20 წლისაა. ეს ასაკი მთლად სარეკორდო არაა ფორმულა ერთის ისტორიაში, მაგრამ დღეს მაინც გასაოცარია. როგორ ანდობს „იაგუარის“ ხელმძღვანელობა საჭეს ამ ბიჭუნას. მით უმეტეს რომ კლიენი „ფორმულა ერთის“ კლასის მანქანაში ამ ერთი კვირის წინ ცხოვრებაში პირველად ჩაჯდა და ჯერ ერთიორი წყვილი საბურავის გაცვეთაც ვერ მოასწრო.

ამ ბალღის სანაცვლოდ „იაგუარის“ ბოსებმა 25 წლის ბრიტანელი ჯასტინ უილსონი გაუშვეს, რომელსაც, ცხადია, ეს ამბავი გულზე არ მოეფონა — „იმედგაცრუებული ვარ. წინა სეზონის შუაში გუნდმა რომ ამიყვანა, ვფიქრობდი რომ კარგა ხნით, მაგრამ როგორც ხედავთ, მე არ მომცემია რეალური შანსი, რაიმე დამემტკიცებინა.“

უილსონმა გასული სეზონის დამთავრებამდე ექვსი რბოლით ადრე შეცვალა ანტონიო პიცონია, მაგრამ ამ ექვსი რბოლიდან ვერცერთისფინიშამდე ვერ მივიდა, რაც მის სასარგებლოდ არ მეტყველებს. თავისთავად, 6 რბოლა მართლაც არაა ის ვადა, რომელშიც ფორმულა ერთის მძღოლი ბოლომდე გაიხსნება, მაგრამ ჩანს, „იაგუარის“ მამებმა მისი სახით გუნდის ნათელი მომავალი ვერ დაინახეს.

სამაგიეროდ ისინი არც ცდილობენ ახალი მძღოლის მიმართ სიმპათიების შეკავებას. „კრისტიანი ისევე კარგად აკონტროლებს საკუთარ თავს, როგორც მანქანას — ამბობს „იაგუარის“ ერთ-ერთი ბოსი დევიდ პიჩფორტი — ის მშვენივრად თანამშრომლობს ინჟინრებთან და სწრაფად იღებს საჭირო გადაწყვეტილებებს.“

კრისტიან კლიენი ალექსანდრ-ვურცის შემდეგ პირველი ავსტრიელი იქნება, ვინც სამეფო რბოლაში გახედნის რკინის ბედაურს. ვურცმა 2000 წელს დატოვა „ბენეტონი“ და „მაკლარენში“ ტესტ პილოტად გადაბარგდა.

ჯორდანმა ჰაიდფელდი მოსინჯა

მანამდე „ზაუბერის“ მრბოლმა ნიკ ჰაიდფელდმა დროებითი კონტრაქტი გააფორმა „ჯორდანთან“. ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით, ახლო მომავალში გადაწყდება, დარჩება თუ არა იგი ამ გუნდში და თუ დარჩება, რა ხნით.

„ჩვენ უკვე მივაღწიეთ „ჯორდანთან“ შეთანხმებას — ამბობს ჰაიდფელდის მენეჯერი ვერნერ ჰაინცი — ნიკს თავიდან შედარებით მცირე ხელფასი ექნება, მაგრამ გუნდი თუ ფინანსურად წელში გაიმართა, ის გაცილებით მეტს მიიღებს.“

26 წლის ჰაიდფელდი ბოლო სეზონში „ზაუბერის“ საჭეს უჯდა და 4,5 მილიონიც იშოვა, მაგრამ რაც ამ გუნდმა იტალიელი ჯანფრანკო ფიზიკელა და ბრაზილიელი ფელიპე მასა შეიმატა, ნიკმა ახალი გუნდის ძებნა დაიწყო.

„ჯორდანი“ ახალ პილოტს ესპანურ ტრასაზე გამოსცდის ამ კვირაში. თუ ჯორდანის ბოსებს ჰაიდფელდი მოეწონათ, მერედა დაიწყებენ მასთან სრულფასოვანი კონტრაქტის გაფორმებაზე მოლაპარაკებას.

ერთი ჯორდანული სიახლეც: ეს გუნდი თავის ახალ ბედაურ EJ14-ს თებერვლის დასაწყისში გამოსცდის, როცა საბოლოოდ გამოაცხადებს ჯორდანელ პილოტთა ვინაობასა და ტესტპილოტთა რაოდენობას.

რეგულარული ჩემპიონატი



REUTERS პიტსბურგიდან

პიტსბურგელ რამზი აბიდს „ატლანტას“ კარში უმნიშვნელოვანესი გოლი გააქვს

რამზის მზემაც გამოანათა

1 დეკემბერი

ოტავა 4:1 ფილადელფია
0:0 2:0 2:1
1:0 ჰავლატი (23), 2:0 ჰავლატი (37), 2:1 ბრიმო (44), 3:1 ვოლჩენკოვი (53), 4:1 ალფრედსონი (59)

„ფილადელფიას“ შთამბეჭდავი სერია ნოემბერმა გაიყოლა. შემოდგომის ბოლო თვეს „მფრინავებმა“ 12 მატჩიდან მხოლოდ ორი დაასრულეს ფრედ, დანარჩენი კი მოიგეს. უკვე დეკემბერში გამართული მე-13 თამაში კი თარსი აღმოჩნდა ფილადელფიელებისთვის. თან ისინი იმ მეტოქესთან დამარცხდნენ, ვისთანაც ალბათ ყველაზე მეტად ლამობდნენ მოგებას. ბოლო პლეი ოფში ხომ სწორედ „ოტავამ“ გადაუღობა გზა პატივმოყვარე „მფრინავებს“. „ფილადელფიის“ თავკაცმა კენ ჰიჩკოკმა ამჯერადაც ვერაფერი გაახერხა ოტაველთა საფირმო ზესწრაფი თამაშის წინააღმდეგ.

ზოგისთვის რიცხვი 13 ნავსიანია, აი „ფილადელფიის“ მძლეველთათვის კი ბედნიერების მომტანი ყოფილა. წინა 12 მატჩში ოტაველები ვერა და ვერ ახერხებდნენ ანგარიშის გახსნას. ნავსი მარტინ ჰავლატმა გატეხა და პირველ გოლს მეორეც მიაყოლა. ისე, უნდა ითქვას, რომ ჩეხმა ორჯერვე რიკოშეტის შემდეგ გაიტანა. ბოლო მესამედში „ფილადელფიამ“ ერთი გოლი გაქვითა, მაგრამ ანტონ ვოლჩენკოვის შაიბამ საბოლოოდ გატეხა.

პიტსბურგი 4:3 ატლანტა
1:1 2:2 1:0
1:0 ჰოლდინგერი (13), 1:1 კოვალჩუკი (16), 1:2 ვიუიე (22), 2:2 ტარნსტრიომი (22), 2:3 სავარი (27), 3:3 მელოუნი (32), 4:3 აბიდი (57)

აფრენა თურმე გაპუტულ და დაბეჩავებულ „პინგვინებსაც“ ძალუძთ. გაჭირვება მიჩვენეო და გასაფრენს გაჩვენებო, ხომ გაგიგონიათ, ჰოდა, კვირას „პიტსბურგი“ იძულებული გახდა, ერთ წამყვან მოთამაშეს კიდევ შელეოდა. მარიო ლემიეს შემდეგ ყველაზე ძვირადღირებული მოთამაშე, ფორვარდი მარტინ სტრაკა (4 350 000 წლიური დოლარი) „ლოს ანჯელესში“ გადავიდა, მაგრამ „პიტსბურგმა“ უმისოდ სენსაცია მოახდინა და მეორე დღეს აღმოსავლეთის ერთ-ერთი ლიდერი, „ატლანტა“ დასცა ბეჭებზე.

პიტსბურგელების არსენალში საიდუმლო იარაღი გამოიძებნა — ძირითადში საკმაოდ იშვიათად მოასპარეზე რამზი აბიდი. მან ბოლო წუთებზე დაარღვია წონასწორობა და ალექსეი მოროზოვის ჩინებული პასის შემდეგ გადამწყვეტი გოლი გაიტანა. აქვე გეტყვით, რომ არაბული წარმოშობის ეს ფორვარდი წინა სეზონში „ფინიქსში“ თამაშობდა და იქაც იშვიათად ჩნდებოდა ძირითად გუნდში. მაგრამ რამდენჯერაც შანსი მიეცეა, იმდენჯერ აუცილებლად გამოიყენა და არაერთი მეკარეც დააღონა.

სამეულ ღარიბიანი

აღმოსავლეთი

ატლანტიკა								
ფილადელფია	23	14	5	1	3	71	44	34
ნიუ ჯერსი	22	12	6	0	4	54	36	30
რეინჯერსი	24	9	5	2	8	64	60	25
აილენდერსი	22	9	2	0	11	59	59	20
პიტსბურგი	23	6	4	1	12	45	79	17
ჩრდილო-აღმოსავლეთი								
ტორონტო	25	12	5	2	6	63	64	31
ბოსტონი	23	11	4	4	4	63	53	30
ბუფალო	25	11	2	1	11	57	65	25
ოტავა	23	10	2	3	8	72	55	25
მონრეალი	24	10	2	1	11	52	58	23
სამხრეთ-აღმოსავლეთი								
ატლანტა	26	12	3	1	10	74	73	28
ტამპა	20	11	4	1	4	50	35	27
ფლორიდა	26	9	4	0	13	57	70	22
კაროლინა	24	7	7	0	10	49	60	21
ვაშინგტონი	24	7	1	1	15	62	74	16

დასავლეთი

ცენტრი								
დეტროიტი	25	14	2	0	9	81	58	30
სენტ ლუისი	21	13	1	1	6	55	47	28
ნეშვილი	23	12	1	0	10	60	59	25
ჩიკაგო	25	6	4	3	12	47	71	19
კოლმბუსი	23	7	3	1	12	49	64	18
ჩრდილო-დასავლეთი								
ვანკუვერი	25	14	3	2	6	8	58	33
კოლორადო	24	14	2	1	7	75	59	31
ედმონტონი	24	10	3	0	11	67	75	23
კალგარი	21	9	1	3	8	48	54	22
მინესოტა	24	8	4	0	12	52	57	20
წყნარი ოკეანე								
ლოს ანჯელესი	23	12	1	1	9	59	53	26
სან ხოსე	24	8	8	2	6	60	59	26
დალასი	25	11	3	0	11	58	61	25
ანაჰაინი	24	8	4	5	7	53	62	25
ფინიქსი	23	7	6	1	9	58	73	21

ბომბარდირები: ნესლუნდი (ვანკუვერი) 32 (11+21), ტანგეი (კოლორადო) 32 (8+24), ლანგი (ვაშინგტონი) 31 (14+17), კოვალჩუკი (ატლანტა) 30 (18+12), ბერტუცი (ვანკუვერი) 27 (8+19), პალფი (ლოს ანჯელესი) 26 (6+20), გერინი (დალასი) 25 (15+10), ნადი (ფინიქსი) 25 (13+12), ალფრედსონი (ოტავა) 25 (10+15), ჰოსა (ოტავა) 25 (10+15), იაგრი (ვაშინგტონი) 25 (9+16), ტორნტონი (ბოსტონი) 25 (5+20)

მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები

ხორვატია 2-14 დეკემბერი

ხელბურთი ქალებით ამთავრებს

ტრადიციულად, ყოველი წელი ქალ ხელბურთელთა ტურნირებით მთავრდება. დეკემბერში მონაცვლეობით იმართება მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატები. წლეულს მსოფლიო ფორუმის ჯერია.

გუშინ ხორვატიაში მსოფლიოს XVI ჩემპიონატი დაიწყო. 24 ნაკრები ოთხ ჯგუფშია განაწილებული.

A ჯგუფი (*სპლიტი*): საფრანგეთი, სერბეთ-ჩერნიგორია, ხორვატია, ესპანეთი, ბრაზილია, ავსტრალია

B ჯგუფი (*პორეკი*): რუსეთი, ჩეხეთი, ავსტრია, კორეა, ანგოლა, ურუგვაი

C ჯგუფი (*კარლოვაკი*): ნორვეგია, რუმინეთი, იაპონია, უკრაინა, ტუნისი, არგენტინა

D ჯგუფი (*ჩაკოვეკი*): დანია, უნგრეთი, სლოვენია, გერმანია, ჩინეთი, კოტ დივუარი

ასპარეზობის დაწყებამდე ათიოდე დღით ადრე ფინანსურ-ორგანიზაციული პრობლემების მიზეზით ყაზახეთმა უარი განაცხადა მონაწილეობაზე და მისი ადგილი იაპონელებმა დაიკავეს.

ჯგუფებში სამ-სამი საუკეთესო მომდევნო ეტაპზე ორ, ასევე ექვსგუნდა ჯგუფში გააგრძელებს ბრძოლას, მერე კი ნახევარფინალში გამარჯვებულები 14 დეკემბერს ზაგრებში გადამწყვეტ მატჩში შეებმებიან ერთმანეთს.

ფავორიტებად მსოფლიოს ამჟამინდელ ჩემპიონ რუსეთთან ერთად ითვლებიან ოლიმპიურ და ევროპის ჩემპიონ დანიის, მსოფლიოსა და ევროპის ვიცე-ჩემპიონ ნორვეგიის, აგრეთვე უნგრეთის, სერბეთის და მასპინძელ ხორვატიის ნაკრებები.

გუშინ პირველი ტურის შედეგები ასე დასრულდა:

რუსეთი 28:27 კორეა
სერბეთი 41:18 ავსტრალია
უნგრეთი 43:25 კოტ დივუარი
იაპონია 30:24 ტუნისი
ჩეხეთი 46:16 ურუგვაი
ხორვატია 32:25 ბრაზილია
სლოვენია 34:26 ჩინეთი
ნორვეგია 29:30 უკრაინა
ავსტრია 29:19 ანგოლა
საფრანგეთი 28:25 ესპანეთი
რუმინეთი 43:13 არგენტინა
დანია 20:20 გერმანია



REUTERS ბელგრადიდან

ლოთარის ქორწინება

ბელგრადის „პარტიზანის“ მწვრთნელად მომუშავე დიდ გერმანელ ფეხბურთელ ლოთარ მათეუსს იქაური ქალი, მარიანა კოსტიჩი უთხოვია. ამბავს მხოლოდ უახლოესი მეგობრები დასწრებიან და ამიტომაც ჯვრისწერის ამსახველი ფოტოს ნაცვლად სააგენტოები ამ კადრს ავრცელებენ, სადაც რომ მარიანა და ლოთარი რომელიღაც ბელგრადულ მოდაჩვენებაზე ღიმილოსნობენ. სხვათა შორის, ერთსაც და მეორესაც წინა ქორწინებებიდან სამ-სამი შვილი ჰყავთ.

კობის ჯალაბი

ეს დახვეწილი ქალი განთქმული ლეიკერსელის, კობი ბრაიანტის მეუღლე ვანესაა, ხოლო ამ პატარა ცუგრუმელას ნატალია ჰქვია. კობის ჯალაბი ლოსანჯელესელთა და „სან ანტონიო სპურსის“ შეხლას დაესწრო.



REUTERS რუკადან

ქარწყლებული

ფინურ რუკაში ტრამპლინიდან გადმომხტარ ავსტრიელ მხტომელ ტომას მორგენშტერნს ქარის ნაკადმა წონასწორობა დააკარგვინა და მიწას დაანარცხა. ბედად, მორგენშტერნი სერიოზულად არ დაშავებულა, თუმცა მისი ჰოსპიტალში გადაყვანა მაინც აუცილებელი გამოდგა.



REUTERS რუკადან

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თაყართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კილაურაძე, ლთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დეკაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge